პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 148 (12062) | კვირა, 2 ივლისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები—წარმოებას!

მეცნიერ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვა

საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს მეცნიერ მუშაკთა თათბირმა, რომელმაც განიხილა მეცნიერ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგები, დასახა ახალი გადიდებული ამოცანები რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი საძუშაოების დაგეგმვისა და კოორდინაციის დარგში.

თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი „მეცნიერთა და მეცნიერ-პედაგოგთა კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ინიციატივით არის მიღებული. თათბირმა აღნიშნა ის დიდი მიღწევები, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა მოწინავე მეცნიერებამ საერთოდ და ქართულმა მეცნიერებამ კერძოდ.

ახლა საყოველთაოდ აღიარებულია საბჭოთა მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა და სხვა სპეციალისტების მუშაობის უდიდესი მეცნიერული შედეგები. საბჭოთა მეცნიერების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშების გმირული მეცნიერული შრომის ტრიუმფს წარმოადგენს საბჭოთა კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთის“ შექმნა და საბჭოთა ადამიანის იური გაგარინის გაფრენა კოსმოსურ სივრცეში.

ასეთი უმაგალითო წარმატებები შედეგია იმ უდიდესი და მთამაგონებელი ზრუნვისა, რომელსაც იჩენენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

ახლა, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეტაპზე, საბჭოთა მოწინავე მეცნიერება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მზარდმზარდი შემდგომი აღმავლობის ძირითადი ფაქტორი.

ჩვენ, თათბირის მონაწილენი, ვალდებულებას ვკისრულობთ ვიმუშაოთ კიდევ უფრო თავდადებით და ნაყოფიერად და მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მეცნიერს, ინჟინერს, ტექნიკოსს და ყველა მშრომელს გააჩაღონ ბრძოლა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა თავრობის მიერ დასახული გრახდიოზული ამოცანების უახლოეს დროში გადაჭრისათვის, შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, კომუნისტური საზოგადოების მატერიალური ბაზის შექმნისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ მეცნიერ მუშაკებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს მუდამ ზრუნავდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვისათვის წარმოებაში. თათბირი მოუწოდებს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკს მჭიდროდ დაუკავშირონ მეცნიერული კვლევა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულ ამოცანებს. წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა გაერთიანებულმა შემოქმედებითმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

ეკონომიკის მეცნიერების წარმომადგენლებმა უნდა შეისწავლონ და განაზოგადონ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების გამოცდილება და მიღწევები.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ ჩვენი მოსახლეობის იდეური შეიარაღების, მომავალი კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში.

ჩვენი მეცნიერებისა და სპეციალისტების პირდაპირი მოვალეობაა კიდევ უფრო მეტი იზრუნონ ინჟინერ და ტექნიკოსთა კადრების, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების აღზრდისათვის.

თათბირი სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები, ყველა მშრომელნი არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა ახალი შესანიშნავი მიღწევებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მეცნიერთა შესანიშნავ თაობას!

დიდება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და-მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

მილოცვა განის ხალხს

მოსკოვი, 30 ივნისი. (საკდესი). განის რესპუბლიკის გამოცხადების პირველი წლისთავის გამო სსრ კავშირის მინისტრთა თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა განის რესპუბლიკის მეგობარ ხალხსა და მთავრობას გულწრფელად მიულოცეს და უსურვეს ყოველიკე საუკეთესო.

საბჭოთა ხალხი კმაყოფილებით აღნიშნავს, ნათქვამია დეპეშაში, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამკვიდრდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთ პატივისცემა და ნდობა.

მეგობროგისა და თანამშრომლოგის ურთიერთოგა

მოსკოვი, 1 ივლისი. (საკდესი). ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს ავღანეთსა და სსრ კავშირს შორის ნეიტრალიტეტისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელის მოწერის 30 წლისთავის გამო.

მუჰამედ დაუდის დეპეშაში კმაყოფილებით არის აღნიშნული, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთ პატივისცემის, ნდობისა და კეთილმოსურნეობის საფუძველზე ვითარდება მეგობრული და კეთილი ურთიერთობა, რასაც სარგებლობა მოაქვს ორივე სახელმწიფოსათვის.

პასუხში ავღანეთის პრემიერ-მინისტრისადმი საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირისა და ავღანეთის ურთიერთობა, რომელიც გამსჭვალულია ურთიერთნდობით, პატივისცემითა და კეთილმოსურნეობით, კვლავაც განმტკიცდება შუა აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის, უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი გამოთქვამს რწმენას, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც შემოწმებულია დროით, კვლავაც განვითარდება სსრ კავშირისა და ავღანეთის ხალხების საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ხელშეკრულების ხელის მოწერის 30 წლისთავის გამო დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს ავღანეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მუჰამედ ნაიმმა და ა. ა. გრომიკომ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ კაპანაძე როლერი გიორგის-ძე — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

კვამე ნკრუმას ვიზიტის გამო

როგორც წინათ ვიუწყებოდით, განის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი კვამე ნკრუმა დათანხმდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევაზე—ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. პრეზიდენტი კვამე ნკრუმა მოსკოვს ჩამოვა 10 ივლისს როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ოფიციალური სტუმარი. პრეზიდენტი ნკრუმა იმოგზაურებს საბჭოთა კავშირში.

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ

ვაშინგტონი, 1 ივლისი. (საკდესი). 30 ივნისს საღამოს განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მონაწილეებმა შემდეგი ერთობლივი კომუნიკე გამოაქვეყნეს:

„შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა წარმომადგენლებმა, რომელნიც 19 ივნისიდან უზიარებდნენ ერთმანეთს აზრებს საკითხებზე, რომლებიც შეეხება განიარაღებას და მოლაპარაკების განახლებას შესაბამის ორგანოში, რომლის შემადგენლობაც შეთანხმებული უნდა იყოს, გადაწყვიტეს გამოაცხადონ თავიანთი სხდომების შეწყვეტა 17 ივლისამდე.

სხდომები განახლდება მოსკოვში იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც 19 ივნისამდე მიაღწიეს ორივე მთავრობის წარმომადგენლებმა იმის შესახებ, რომ მოლაპარაკების პირველი ნაბეჯარი გაიმართებოდა ვაშინგტონში, ხოლო მეორე — მოსკოვში“.

კორეელი სტუმრები მოსკოვში

მოსკოვი, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია ქარხანა „წითელ პროლეტარს“ და გაეცნო წარმოებას.

ქარხნის მუშაკები გულთბილად მიესალმნენ ამხანაგ კიმ ირ სენსა და სხვა კორეელ მეგობრებს.

გავამდიდროთ სამამულო მეცნიერება და ტექნიკა ახალი დიდი მიღწევებითა და აღმოჩენებით

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სტატია

მეცნიერ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე

ამხანაგებო!

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამამულო მეცნიერების წარმატებებს და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა სამამულო მეცნიერების შემდგომი წინსვლისათვის გამოხატულებას პოულობს ყველა გამარჯვებაში, რომლებიც ჩვენმა მეცნიერებმა ამ ბოლო დროს მოიპოვეს. საკმარისია დავასახელოთ შესანიშნავი მეცნიერული გმირობა, რაც ჩაიდინეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა, რომლებმაც შექმნეს კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი“, საბჭოთა ადამიანის — იური გაგარინის გაფრენა კოსმოსში, რაც განხორციელდა ხომალდ „აღმოსავლეთით“, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელია, რომელიც დიდმა საბჭოთა ხალხმა ჩაწერა კაცობრიობის ისტორიაში. ეს გმირობა, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მოასწავებს ჩვენი ქვეყნის ახალ აღმავლობას მის წინსვლაში კომუნიზმისაკენ.

ჩვენმა ქვეყანამ ჭეშმარიტად უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. იფურჩქნება ეკონომიკა, კულტურა, აღმავლობის გზაზეა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. მთელ საბჭოთა ხალხდ ეწევა მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას. რამდენიმე თვის შემდეგ გაიმართება სკკპ მორიგი XXII ყრილობა, რომელიც მიიღებს პარტიის ახალ წესდებასა და ახალ პროგრამას, კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამას.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად ილაშქრებენ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანერთა ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ. მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენი პოზიცია იმდენად ძლიერი, ნათელი და თანმიმდევრული, რომ რეაქციონერებიც კი იძულებული არიან აღგარიში გაუწიონ მას. საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა აშკარად იმარჯვებს „ძალის პოზიციის“ მომბრძოლ პოლიტიკაზე. ძლიერდება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო გავლენა, მტკიცდება მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკი.

ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ ყველა ეს მიღწევა შედეგია პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ბრძოლისა და ზრუნვისა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის.

ჩვენი საზოგადოების წინსვლის კვალობაზე სულ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს მეცნიერების გავლენა ხალხის ცხოვრების ყველა მხარეზე. ახლა მეცნიერების დაუზარბელად ვერ განვითარდება სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მეცნიერების განუყრელი კავშირის მიღწევას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩვენს კვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ გულისხმობს მეცნიერების ხელმძღვანელობის ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად.

ამ დადგენილებით გათვალისწინებულია მეცნიერული კვლევის ტექნიკური აღჭურვა, ძალების კონცენტრაცია და მეცნიერთა კადრების მომზადების გაკანება, რაც უზრუნველყოფს მეცნიერების, პირველ რიგში მისი გადამწყვეტი დარგების განვითარების მაღალ ტემპებს. დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე მსხვილი სამეცნიერო ცენტრების შექმნას, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვის სწრაფ ზრდას ეროვნულ რესპუბლიკებში.

თუ წინათ მეცნიერების ცალკეული დარგები ვითარდებოდა დამოუკიდებლად, მომიჯნავე დარგებთან კავშირის უქონლად, ამჟამად ასეთი მდგომარეობა აღარ არის, ახლა ძნელია წარმოვიდგინოთ ფიზიკის მეცნიერებათა განვითარება ქიმიის, მათემატიკის მეცნიერებათაგან, კიბერნეტიკისაგან და სხვ. მოწუვეტილი.

თანამედროვე საბჭოთა მეცნიერი ფართო დიაპაზონის ყოველმხრივ განათლებული სპეციალისტია, რომელიც იცნობს არა მარტო მეცნიერების კონკრეტულ დარგს, არამედ მის მომიჯნავე დარგებსაც.

ამხანაგებო!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და მათდამი დაქვემდებარებული საკვლევი და სამეცნიერო დაწესებულებანი, აგრეთვე სხვა საუწყებო სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემების გადაჭრისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის.

საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებმა უკვე ცოტა წარმატებას როდი მიაღწიეს, ცალკეული თვალსაჩინო აღმოჩენებით და გამოკვლევებით მათ სახელი გაუთქვეს ჩვენს რესპუბლიკას არა მარტო სსრ კავშირში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიც არის მათემატიკა, მექანიკა, ფიზიკა, ქიმია, მეტალურგია, გეოლოგია, ფიზიოლოგია, მედიცინა, ბიოლოგია, ენათმეცნიერება, ჩვენს რესპუბლიკაში წამყვან დარგებად ითვლება და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ეს კარგია. მაგრამ ჩვენ ფხიზლად უნდა შევაფასოთ ჩვენი წარმატებანი, გამოვავლინოთ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და დავსახოთ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების ისეთი ეფექტიანი გზები, რომლებიც საშუალებას მისცემენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებს ღირსეული ადგილი დაიკავონ მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და მძლავრ საბჭოთა მეცნიერებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სხვა უწყებათა სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. ხშირად სამეცნიერო დაწესებულებები დიდხანს მუშაობენ ისეთ თემებზე, რომლებსაც არა აქვთ არც თეორიული, არც პრაქტიკული მნიშვნელობა, აღმოფხვრილი არ არის გაუმართლებელი მრავალთემიანობა, რასაც მოსდევს ძალების დაქსაქსვა, ხშირად არასწორად არის ორგანიზებული მეცნიერთა შრომა და ა. შ.

მეცნიერები ხშირად ჩივიან, რომ ბევრი მეცნიერული კვლევის რეალიზაცია არ ხდება იმის გამო, რომ. საკმაოდ აქტიური დახმარება არ არის საგეგმო ორგანოებისა და მრეწველობის მხრივ. ბევრ რამეში ისინი მართალი არიან. მაგრამ თავის მხრივ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და მეცნიერებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოტას მუშაობენ ისეთ პრობლემებზე, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების ამა თუ იმ დარგის განვითარების პერსპექტივებს. ამასთან ერთად სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ყოველთვის ჯეროვან სიმაღლეზე როდი აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა მათ მიერ შემუშავებული ძვირფასი წინადადებების წარმოებაში დანერგვისათვის. რატომღაც მიაჩნიათ, რომ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი სამრეწველო საწარმოებზე ნაკლებად არიან დინტერესებულნი და პასუხისმგებელნი თავიანთი დამუშავებული წინადადებების წარმოებაში უნარჩაფსად დანერგვისათვის. როგორც ჩანს, საჭიროა იქნება დავამყაროთ წესი, რომლის მიხედვით სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის საბოლოო ტეტა ბაგდება მათი შრომების დანერგვა წარმოებაში და არა ანგარიშების შედგენა შესრულებული თემების მიხედვით. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები უნდა იგეგმებოდეს და სამეცნიერო დაწესებულებებს ეძლეოდეს იმ ვარაუდით, რომ სამუშაოები მიყვანილ იქნას წარმოებაში კვლევის შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციამდე, თუ ასეთი წესი არ დავამყარეთ, დამთავრებულ სამუშაოთა დანერგვის მხრივ ალბათ იგივე გამეორდება, რაც 1960 წელს იყო. მარშან კი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით, 174 უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომიდან, რომლებიც გათვალისწინებული იყო ახალი ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო გეგმაში, სრული მოცულობით შესრულდა მხოლოდ 114 ნაშრომი, ანუ 65 პროცენტი, ხოლო 35 ნაშრომის რეალიზაცია არც კი დაწყებულა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტმა ჯერ კიდევ 1959 წელს დაამუშავა ჩაის ფაბრიკებში ობოტუმმოების გამოყენების საკითხი. ამ ღონისძიების განხორციელება შესაძლებელს გახდის საღნობი და სახმობი აგრეგატების წარმავალი სითბოს გამოყენებას, ამარტივებს ჩაის ფაბრიკებში ბაერის კონდიციონერების საკითხის გადაჭრას, აუჯობესებს ჩაის ხმობისა და ღნობის ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვის პირობებს, და შესაძლებელს ხდის უარი ვთქვათ თხევადი სათბობის—მაზუთის გამოყენებაზე.

ამჟამად არის მუშა პროექტი ამ საცდელ-სამრეწველო დანადგარისა გუბის ჩაის ფაბრიკისათვის. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭო და საქართველოს ჩაის ტრესტი დღემდე არ შესდგომიან დანადგარის დამზადებას და წარმოებაში მისი დანერგვა ჭიანურდება. ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

როგორც მოგეხსენებათ, კომუნისტური პარტია აყენებს ამოცანას, რომ ცხოვრების დონე ჩვენს კვეყანაში ყველაზე მაღალი იყოს, ხოლო სამუშაო დღე ყველაზე მოკლე იყოს მსოფლიოში. უახლოესი წლების მანძილზე ჩვენს კვეყანაში განხორციელდება 6 საათის, ხოლო შემდეგ 5 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ამ ღონისძიების განხორციელება უნდა მომდინარეობდეს შრომის ნაყოფიერების თანმიმდევრული ზრდის საფუძველზე, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის მიღწევა აგრეთვე გულისხმობს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ფართოდ გამოყენებას საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის. ამ ამოცანის გადაჭრაში წამყვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებიც მუშაობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, კვებისა და მომსახურების დარგში.

დიდი ამოცანები დგას იმ მეცნიერთა წინაშე, რომლებიც მუშაობენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, საზოგადოებრივი განვითარების პროცესების მეცნიერულ გაშუქებაში საბჭოთა კავშირისა მეცნიერებმა და მათ შორის საქართველოს მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს, მაგრამ ეს წარმატებანი ვერ დაგვაკმაყოფილებენ. საზოგადოების შესახებ, ადამიანის შესახებ მეცნიერების წინაშე დასახულია და შემდგომ კვლევას მოელის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება, სკკპ დიადი ისტორიული გამოცდილების განზოგადება, ადამიანის კომუნისტური აღზრდა, მისი სულიერი ცხოვრების გამდიდრება და სხვ.

გადაკრით უნდა მივუახლოოთ ეკონომიური მეცნიერება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ჩვენს საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს ესაჭიროებათ მეცნიერული დახმარება მთელ რიგ საკითხებში. ავიღოთ თუნდაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 20 წლის პერსპექტიული გეგმა, რომლის შემუშავება ახლა ხდება. თუ ამ გეგმის შედგენას არ წაემძღვარა ეკონომიური გამოკვლევები, საეჭვოა ვიქონოთ მისი რეალობის იმედი. მაგრამ ჩვენმა მეცნიერებმა ეს ეკონომიური გამოკვლევები ისეთ დონედ და კონკრეტულობის ისეთ მდგომარეობამდე უნდა აიყვანონ, რომ შესაძლებელი გახდეს მათი შედეგების გამოყენება სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრაში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაში.

ჩვენს მოთხოვნას პრაქტიკაში თეორიის ყოველმხრივ და ყველა ღონისძიებით გამოყენების შესახებ საფუძვლად უდევს პრაქტიკისათვის მეცნიერების მნიშვნელობის მაღალი შეფასება, აგრეთვე მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის პრაქტიკის როლის მაღალი შეფასება. ამიტომ საჭირო არ არის მოგაგონოთ, რომ ყველა ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მთავარი თემატიკა მაქსიმალურად უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენი მშენებლობის პრაქტიკასთან და პერსპექტივებთან. ამასთან ერთად პარტიას კარგად ესმის და მბარს უმერს მეცნიერებს, რომლებიც თეორიულად ამუშავებენ საკითხებს, რომელთა პრაქტიკული გამოყენება შედარებით შორეული მომავლის საქმე იქნება, მეცნიერება მოვალეა წინ უსწრებდეს პრაქტიკას, ხელადვეს არა მარტო ხვალინდელ, არამედ შემდგომ დღეებსაც. მეცნიერთა მოვალეობაა იჩენდნენ შემოქმედებითს ინიციატივასა და მტკიცედ იბრძოდნენ თავიანთი თეორიული გამოკვლევების განხორციელებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ცუდად როდია დაყენებული სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაცია.

ქუთაისის რაიონში აღმოჩენილია ლითონური ალუმინის წარმოებისათვის ვარგისი ანაცლნის ქვიშაქვის მდიდარი საბადო. იმის გამო, რომ ამ ნედლეულის სამრეწველო გამოყენების წინადადებათა კვალიფიციური დამუშავება ჭიანურდებოდა, რადგან საჭირო იყო ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებისა და სხვადასხვა სპეციალისტის ჩაბმა საკითხის კომპლექსური გადაჭრისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს დასჭირდა შეექმნა სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური კომისია, რომელსაც დაეკისრა ამ საკითხზე წინადადებათა შემუშავებაში მონაწილე სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციის განხორციელება. ამჟამად ეს დაწესებულებები მიზანდასახულად მუშაობენ, კომისიის მიერ შემუშავებული გეგმით. მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს და ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რესპუბლიკა უახლოეს დროში მიიღებს მეცნიერულად დასაბუთებულ წინადადებებს ალუმინის წარმოების ორგანიზაციის საკითხზე.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს მთის მდინარეების ენერგიის რაციონალურად გამოყენებისათვის საჭიროა შენდებოდეს მაღალი კაშხალები. არც ჩვენში, საბჭოთა სახელმწიფოში, არც საზღვარგარეთ ასეთი კაშხალების მშენებლობის საკმაო გამოცდილება არ იყო.

ჩვენში, საქართველოში, მაღალი კაშხალების გაანგარიშებისა და დაპროექტების მეთოდიკის დამუშავების საკითხებზე ბევრი ორგანიზაცია მუშაობდა. მაგრამ მაღალი კაშხალების საკითხებზე სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური კომისიის შექმნამდე, როგორც სამეცნიერო კვლევითი, ისე საპროექტო სამუშაოები დაქსაქსულად წარმოებდა, ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყო და მათს მუშაობაში პარალელიზმიც კი იყო. ამჟამად საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის, სამშენებლო საქმის, მათემატიკის ინსტიტუტები და გამოთვლითი ცენტრი მუშაობენ აღნიშნული კომისიის მიერ შედგენილი გეგმით, რის გამო უკვე მიღებულია დადებითი შედეგები მაღალი კაშხალების გაანგარიშების, დაპროექტებისა და მშენებლობის მეთოდოლოგიის დადგენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უნარიანმა კოორდინაციამ შესაძლებელი გახადა ფართოდ დანერგილიყო სახალხო მეურნეობაში ულტრაგგერა, თანამედროვე მაღალეფექტიანი შედუღებული კონსტრუქციები, ნაღალი და სამრეწველო ხიშტრის ფენები და სხვ., აგრეთვე მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო საცდელი სამუშაოები სეტყვის, ვენახებისა და ხეხილის ბაღების ქლოროზის წინააღმდეგ ბრძოლის და მთელ რიგ სხვა საკითხებში.

ეს მაგალითები მოწმობენ, თუ რა დიდი, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკაში საკვლევი საქმიანობის კოორდინაციის დარგში. მაგრამ, როგორც აღნიშნულია, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული კვლევის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და კოორდინაციის დარგში ჯერ კიდევ არის ხერხოზული ნაკლოვანებები. რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციის, აგრეთვე მეცნიერული კვლევის დაგეგმვის გაუჯობესებისათვის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, გამოყენებისათვის, მეცნიერულ ხამუშაოთა შესრულებაში ზედმეტი პარალელიზმის ლიკვიდაციისათვის, როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი გადავაკეთოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტად. რეორგანიზებული კომიტეტის სტრუქტურა შესაბამისად უნდა გადაისინჯოს.

ცნობილია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტივა განუყრელად დაკავშირებულია მეცნიერთა კადრების მოამზადებასთან. ამავე დროს პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მუშობა სამეცნიერო დაწესებულებებისათვის კადრების შესარჩევად ჩვენში ყოველთვის როდი დგას ჯეროვან სიმაღლეზე. და საკვირველი არ არის, რომ ბევრ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციასაც კი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის და თაროებზე, არქივში აწყვია. დისერტაციების დაცვა უნდა ხდებოდეს არა მარტო სამეცნიერო ხარისხის მიღების მიზნით, არამედ საბჭოთა მეცნიერების საგანძურში გარკვეული, შეძლებისდაგვარი წვლილის შეტანის მიზნით. სამეცნიერო შრომის ეფექტიანობის კრიტერიუმი უნდა იყოს ხალხისათვის მოტანილი სარგებლობა, მომავალში ალბათ საჭირო იქნება მეცნიერულ სამუშაოზე უფრო გადაჭრით დავაწესებიროთ წარმოების ახალგაზრდა, უნარიანი სპეციალისტები, რომლებშიც შეხამებული საწარმოო გამოცდილება და შემოქმედებითი კვლევითი მუშაობისადმი მიდრეკილება. ისინი, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანენ მეცნიერებისა და ტექ

გავამჯაღროთ მეცნიერების კონჯაქჯი და ურთიერთმოქმედება ჯექნიკასთან, წარმოებასთან

ჩვენ მოგვუწოდებთ მეცნიერ მუშაკებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს მუდამ ზრუნავდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვისათვის წარმოებაში. თათბირი მოუწოდებს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკს მჭიდროდ დაუკავშირონ მეცნიერული კვლევა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულ ამოცანებს. წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა გაერთიანებულმა შემოქმედებითმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზიდება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

(მეცნიერ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვიდან).

ქართველი მეცნიერები საბჭოთა მეცნიერების ყველა მოღვაწეთანერთად თავიანთ ძალღონეს და ცოდნას, ენერგიასა და ტალანტს ახმარენ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელების საქმეს. ისინი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", რომელიც მიღებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ახალი გამოხატულებაა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა მეცნიერების განვითარებისათვის, მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებისათვის.

ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამას, მეცნიერებისა და ტექნიკის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ უმოკლეს ვადაში ყველა ძირითადი მიმართულებით უნდა დაიკავოს მოწინავე პოზიციები. ეს აზრი გასდევდა წითელ ზოლად ყველა გამოსვლას მეცნიერ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში. თათბირი მოიწვიეს რესპუბლიკის მეცნიერებთა აკადემიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. შ. მიქელაძემ.** მან აღნიშნა, რომ თათბირი შეიკრიბა ის დღეებში, როცა ჩვენი ხალხი სკკპ მოახლოებულ XXII ყრილობას ეგებება ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

მოხსენება მეცნიერ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგებისა და საქართველოს მეცნიერთა ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. ი. მუსხელიშვილმა.** მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში, — თქვა მან, — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის უდგმია ზრუნვისა და უყურადღების ცენტრშია. სკკპ XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცნიერების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში, მეცნიერების განვითარება ჩვენში უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომ დაახლოებას. თეორიული კვლევის უფრო ფართოდ გაშლას იმ პრობლემებზე, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება სახალხო მეურნეობის განვითარების გადაუდებელ ამოცანებს.

მეცნიერული მოქმედება ახლანდელ პირობებში უწინარეს ყოვლისა უნდა წარმართოს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ტექნიკისა და სხვა მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასამუშავებლად.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მეცნიერული მოღვაწეობის დაგეგმვის, კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის ფორმები აღარ შეესაბამება მეცნიერების უმაგალითო წინსვლას, მისი განვითარების დაჩქარებულ ტემპებს.

ამას წინათ მოსკოვში, განაგრძო ნ. ი. მუსხელიშვილმა, გაიმართა მეცნიერ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის მოხსენებაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინის სიტყვაში, აგრეთვე სხვა გამოსვლებში აღიარა საბჭოთა მეცნიერების ორგანიზაციისა და განვითარების ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხები. საქართველოს მეცნიერები დიდი აყურადღებით გაეცნენ მეცნიერ მუშაკთა ამ პირველი სრულიად საკავშირო თათბირის მასალებს. ამიტომ ამჟამად შევეხები მხოლოდ უმთავრეს დებულებებს, რომლებიც თათბირზე ჩამოყალიბდა ამ საკითხების გარშემო.

უწინარეს ყოვლისა, ეს არის მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთობისა და კავშირის საკითხი. ცნობილია, რომ, ერთი მხრივ, წარმოების პროგრესი აყენებს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა მეცნიერული კვლევის ამოცანა ხდება, მეორე მხრივ, მეცნიერებას ახასიათებს თანმიმდევრული, ლოგიკური წინსვლა. ამ გზით მიღწეულ ახალ კანონზომიერებებს თუ ახალი მოვლენებისა და ფაქტების აღმოჩენას არაერთხელ გამოუწვევია გადამწყვეტი ძვრები პრაქტიკის განვითარებაში, ძირეულად შეუცვლია წარმოების მთელი დარგები, განუპირობებია სრულიად ახალი დარგების წარმოშობა.

უკვე მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ მეცნიერების განვითარება ერთიანი სახელმწიფოებრივი გეგმით მიმდინარეობდეს. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სახელმწიფო გეგმა განსაზღვრავს როგორც კადრებს, ისე მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და განაწილებას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მეცნიერულ მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში. სრულიად საკავშირო თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა დიდი როლი, რომელსაც უნდა ასრულებდნენ უმაღლესი სასწავლებლები არა მარტო ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებაში, არამედ თვით მეცნიერულ საქმიანობაშიც. ამ მხრივ სრულიად შეუწყნარებელია რაიმე შეუთანხმებლობა სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სკოლას შორის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად შექმნილია განსაკუთრებით ხელშეწყობი პირობები მეცნიერების განვითარებისათვის მოკავშირე რესპუბლიკებში. საქართველოს მეცნიერებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების აყვავებაში.

განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საქართველოში მათემატიკის მეცნიერებამ. ქართველი საბჭოთა მათემატიკოსების შრომებს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მათ წარმატებით იყენებენ, კერძოდ, თანამედროვე ტექნიკის უაღრესად აქტუალური პრობლემების გადაჭრისას.

ინტენსიურად ვითარდება თანამედროვე ფიზიკის ბევრი დარგი. უკვე მეორე წელია თბილისის ახლოს მუშაობს საკავშირო ატომური რეაქტორი, რომელმაც ამიერკავკასიის მეცნიერებს ახალი, ფართო შესაძლებლობანი შეუქმნა, რათა გადაჭრას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული საკითხები ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკის, ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებში. ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა კოსმოსური სხივების ლაბორატორია ცხრაწყაროზე, რომელიც აღჭურვილია უნიკალური თანამედროვე აპარატურით და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი მეცნიერები დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის დარგში.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა მეცნიერებმა ქიმიის ზოგიერთ დარგში. უკანასკნელი წლების შედეგებიდან უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილია საქართველოს ნავთობის ქიმიური ბუნება, აღმოჩენილი და გამოყენებულია ლუმინესცენციური ნახშირწყალბადები ზეთის ფრაქციებში, მიღებულია ახალი ეფექტიანი პრეპარატები ვაზისა და სხვა მცენარეთა ქლოროზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მნიშვნელოვანია ქართველ გეოფიზიკოსთა მიღწევები დედამიწის ქერქის კვლევის უახლესი მეთოდების დარგში, საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სეისმურ მოვლენათა შესწავლაში.

კოსმოსის შესწავლასთან დაკავშირებულ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობენ ჩვენი ასტრონომები. საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი მეცნიერების შესანიშნავი მიღწევები გეოლოგიის, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის დარგში. მათ შექმნეს მთელი სერია ფუნდამენტალური შრომებისა, რომლებშიც ახლებურად გაშუქებულია საქართველოს გეოლოგიური აღნაგობის ძირითადი საკითხები.

მეცნიერთა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო სამთამადნო მრეწველობის განვითარებას საქართველოში. მათ შეიმუშავეს საბადოთა ექსპლოატაციის პროგრესული მეთოდები და მადნეულის გამდიდრების ახალი ტექნოლოგია.

მეცნიერებმა შეიმუშავეს აგრეთვე დაზოტოვანი მარგანეცის მიღების ახალი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ნიკელის დიდ ეკონომიას უკანონგავი ფოლადების წარმოებაში, შეიმუშავეს და დნერგეს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში ტექნიკური და წმინდა პერმანგანატის მიღების ელექტროლიზური მეთოდი, რის მეობებით ჩვენს სახალხო მეურნეობას აღარ სჭირდება ამ ძვირადღირებული პროდუქტის იმპორტი.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში წარმოებს კვლევა მეცნიერების ისეთ ახალ დარგებში, როგორიც არის მანქანური მათემატიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ტელემექანიკა და კიბერნეტიკა.

აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის მოხსენებაში აისახა წარმატებანი, რომლებსაც ქართველმა მეცნიერებმა მიაღწიეს ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ბოტანიკის, პალეობიოლოგიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენი მკვლევარების ბევრი ნაშრომი თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე. ამ შრომების დიდმა ნაწილმა მაღალი შეფასება მიიღო.

ამ წარმატებებთან ერთად, ამბობს მომხსენებელი, რესპუბლიკის მეცნიერთა კოლექტივის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები. უნდა ვალიაროთ, რომ ეს ნიშიანი კოლექტივი ყველაფერს როდი აკეთებს, კოლექტივი ყველაფერს ოდესმე ალეგს, იგი ჯერ კიდევ დიდ ვალშია საშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე. ეს ძირითადად განპირობებულია სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებებით.

სკკპ XXI ყრილობამ სამეცნიერო დაწესებულებებს დაუსახა გადაუდებელი ამოცანა — მეცნიერთა ძალები და რესურსები მოახმარონ უმნიშვნელოვანეს, დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე გამოკვლევებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს აკადემიაში სათანადოდ იყოს გამოყენებული ეს პრინციპი. ძალიან ცოტაა დაგეგმილი ისეთი კომპლექსური პრობლემები, რომელთა დამუშავებაში მონაწილეობას იღებდეს რამდენიმე ინსტიტუტი. უფრო ძეტიც, თვითონ ინსტიტუტებში ხშირად მეცნიერი მუშაკები კონცენტრირებული არ არიან ამა თუ იმ დიდი პრობლემის გარშემო. ყოველივე ეს იწვევს მრავალპრობლემიანობას და მრავალთემიანობას, მაშასადამე, მეცნიერული ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე თითქმის შეუძლებელია გადაიჭრას ესა თუ ის დიდმნიშვნელოვანი პრობლემა ან განხორციელდეს მეცნიერული აღმოჩენა ინდივიდუალურად, დიდ კოლექტიურ ღონისძიებათა გამოუყენებლად. ამიტომ მკვეთრად დგება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციისა და შეთანხმების საკითხი. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, რომელსაც ეკისრება განახორციელოს მეცნიერული საქმიანობის კოორდინაცია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, დღემდე ჯეროვნად არ გაუშლია ქმედითი მუშაობა ამ მიმართულებით.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში მიღწეულია არცთუ მცირე წარმატებანი. მაგრამ ეს წარმატებანი როდი გამორიცხავენ იმას, რომ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მთავარი ნაკლოვანებები იმაში მდგომარეობს, რომ სუსტად ვაშუქებთ იმ ძირეულ ძვრებს, რომლებიც საქართველოს ცხოვრებაში, მის ეკონომიკასა და კულტურაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. მეცნიერი ეკონომისტები სრულიად არასაკმარისად მუშაობენ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებზე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე. ისინი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის პრინციპების გაუმჯობესების საქმეს, არ იყენებენ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის მიღწევებს.

დასასრულ აკადემიკოსი ნ. ი მუსხელიშვილი ამბობს, რომ საქართველოს მეცნიერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომით შეუწყონ ხელი საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას, ისე, რომ ყველა მის ძირითად მიმართულებას მოწინავე პოზიციები ეკავოს მსოფლიო მეცნიერებაში, როგორც ეს უკვე მიღწეულია ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების, კოსმოსში ადამიანის შეღწევის დარგში.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. გამოსვლებში ხაზგასმულ იქნა, **რომ საბჭოთა მეცნიერების ძალა, მის ახალ წარმატებათა საწინდარია ურღვევი კავშირი ხალხის შემოქმედებითს შრომასთან. მეცნიერება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. კ. ხარაძემ** ილაპარაკა უნივერსიტეტის როლზე თანამედროვე პრობლემური ლაბორატორიების შექმნა. და განვითარებაში. მაგრამ ახალი ამოცანების მიხედვით შეუწყნარებელია ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს. უნივერსიტეტი კვლავაც იქნება მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის ცენტრი, აგრეთვე ინტენსიური საბჭოთა-კვლევითი, შემოქმედებითი მუშაობის კერა. სწავლება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული აქტუალურ კვლევითს მუშაობასთან კარგად მოწყობილ ლაბორატორიებში. ამიტომ საჭიროა გამოვნახოთ და განვახორციელოთ მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტს შორის მეცნიერული კავშირის ეფექტიანი ფორმა. აკადემიის წევრყანი მეცნიერი მუშაკები უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა მუშაობდნენ. და თუ ეს მუშაობა გამოიხატება ლექციათა თუნდაც ერთი კურსის წაკითხვით ან ერთი სპეციალური სემინარის მოწყობით, ამასაც კი დიდი მნიშვნელობა ექნება მეცნიერთა და სტუდენტთა კონტაქტისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

უმაღლეს სასწავლებლებში მრმუშავე მეცნიერებს უნდა შეეუქმნათ მეცნიერული მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები, ამ უკანასკნელ ხანს პრაქტიკაში ინერგება ეგრეთწოდებული პრობლემური ლაბორატორიების შექმნა. უმაღლეს სასწავლებლთა წამყვან კათედრებთან ერთად ისინი უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული მუშაობის ცენტრები უნდა გახდნენ. მეცნიერული მუშაობის ფართოდ გაშლა მით უფრო საჭიროა, რომ მეცნიერთა კადრების საყოფიერი მომზადება არ შეიძლება, თუ სწავლებას მჭიდრო კავშირი არა აქვს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასთან.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი **ა. ი. ჯანელიძე.** სოციალისტურ საზოგადოებაში, ამბობს იგი, მეცნიერების განვითარება ისტორიაში პირველად არის აყვანილი უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის დონეზე. სახელმწიფო ხელმძღვანელობის და წარმართვის მეცნიერებას იმ მიზნით, რომ მუშაობა გეგმაზომიერი და შედეგიანი იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახდენდეთ ძალების კოორდინაციას, კონცენტრაციას, ვიჩჩვევდეთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებებსა და პრობლემებს, ანგარიშს ვაბარებდეთ გაწეული მუშაობის შესახებ. რესპუბლიკაში მთელ ძირითად მეცნიერულ მუშაობას ამჟამად თავს უყრის და წარმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ჩვენი აკადემია უნდა ზრუნავდეს მეცნიერების ყოველი დარგის განვითარებისათვის, ზედმიწევნით უნდა იცობდეს რესპუბლიკის საჭიროებებს, მის შესაძლებლობებსა და ასეთი მიმართულებით გეგმავდეს თავის მუშაობას.

ორატორმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაწყოფილებათა მუშაობაზე. განყოფილებები ახლა არა მარტო უნდა უზრუნველყოფდნენ ინსტიტუტების გეგმიან მუშაობას, არამედ ამასთანავე კონტროლს უნდა უწევდნენ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას. მიმართულებათა დიდ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით საჭიროა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი განყოფილების რეორგანიზაცია. მაგალითად, მათემატიკის მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების განყოფილებაში თავმოყრილია მათემატიკა, ფიზიკა, ასტროფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, გეოგრაფია და სხვა მეცნიერებანი. ყველა ამ დარგის მუშაობის კოორდინირება და წარმართვა ფრიად რთული საქმეა. აკადემიკოს ა. ი. ჯანელიძის აზრით, ეს განყოფილება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი განყოფილების მაგალითისამებრ უნდა გაიყოს სამ თუ ორა, ორ განყოფილებად მაინც. ეს ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უკეთ დაგეგმვას, უფრო კონკრეტულს გახდის მისდამი ხელმძღვანელობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. ლ. ანდრონიკაშვილმა** ილაპარაკა იმ საკითხზე, თუ რას უნდა წარმოადგენდნენ, მისი აზრით, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტები.

შეეხო რა ფიზიკის ინსტიტუტის მუშაობას, მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტის კოლექტივი ცდილობს რაც შეიძლება მეტი კავშირი დაამყაროს სხვადასხვა დისციპლინებს შორის.

ფიზიკის დარგში უკვე შესრულებულია მთელი რიგი სამუშაოები, რომელთა შედეგად წარმოიშვა ახალი მიმართულებანი მეცნიერებაში. მაგალითად, ჩვენს ინსტიტუტში წარმოიშვა ფიზიკური კიბერნეტიკა და ახლა კიბერნეტიკის ინსტიტუტი ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო დაწესებულება გახდა.

ისეთი სამუშაოებისათვის, რომლებიც ეხება მეცნიერების რაქდენიმე დარგის ურთიერთმოქმედებას, საჭიროა ჯეროვანი მეცნიერული კოორდინაცია. ფიზიკის ინსტიტუტი ასეთი კოორდინაციის დიდ მოთხოვნილებას განიცდის. მაგრამ კოორდინაციის საკითხი არ შეიძლება თავმოყრილი იყოს მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

აკადემიკოსმა ე. ლ. ანდრონიკაშვილმა აღძრა ის საკითხი, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთი ქარხანა დასაშვებია ადეს მეცნიერული დაწესებულებებისათვის საჭირო არასტანდარტული ხელსაწყოების მშენებლობისათვის. სასურველია თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან გვექნეს მეცნიერული ხელსაწყოთმშენებლობის დარგი. ამით არა მარტო დიდ სარგებლობას მოვუტანდით ჩვენს ქართულ მეცნიერებას, არამედ ამასთანავე ხელს შეეწყობოდით იმ უნიკალური სპეციალობის შექმნას, რომელსაც შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ხელსაწყოთმშენებლობის მეცნიერების განვითარებაში.

ბიოლოგიის დარგში ეკონომიკის ინსტიტუტმა ამუშავებენ ეკონომიკის ინსტიტუტში ამუშავებენ როგორც მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკის პრობლემებს, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს, ისე ქართული ეკონომიური აზროვნების ისტორიის საკითხებს. ამჟამად ეკონომიკის მეცნიერების წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანები: ხელი შეუწყოს სახალხო მეურნეობის უკეთ დაგეგმვასა და ორგანიზაციას.

მძლავრად ვითარდებოდა ქართული ისტორიოგრაფია. ახლებურად გაშუქებულია საქართველოს ისტორიის სავითხები, დაიწერა ფუნდამენტალური შრომები ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, კერძოდ, ურარტუს შესახებ, რისთვისაც აკადემიკოს, პროფესორ გ. მელიქიშვილს ლენინური პრემია მიენიჭა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მშრომელთა მასების ბრძოლის, სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმში გადასვლის საკითხების გაშუქებას. ამოცანა ის არის, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა დამუშაონ ისეთი პრობლემები, როგორიც არის კოშენისტური პარტიის ისტორია, სსრ კავშირში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ისტორია და სხვ.

ორატორი ლაპარაკობს მუშაობაზე, რომელიც გაწეულია ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის შესწავლის დარგში. გაფართოდა მუშაობა ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად. მომზადდა ბიბლიოგრაფიული შრომები ქართულ-რუსული, ქართულ-სომხური ურთიერთობის შესახებ.

ჩვენი მუშაობის ნაკლია პარალელიზმი. ჯერ კიდევ არცთუ იშვიათია, რომ ერთსა და იმავე პრობლემაზე რამდენიმე კაცი მუშაობს, ეს იწვევს ძალთა დაქსაქსვას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **მ. ნ. საბაშვილი** შეეხო სოფლის მეურნეობის მეცნიერების როლს იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დასახეს პარტიის XXI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წლისა) და იანვრის (1961 წლისა) პლენუმებმა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის ეკონომიკის თათბირმა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სხვა უწყებათა მუშაობის სწორ წარმართვასა და კოორდინაციას. მთელმა მუშაობამ თავი უნდა მოიყაროს ნთავარი, კომპლექსური პრობლემების გაჩრშემ, რომლებსაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში. ასეთ პრობლემებს, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნება ჩაის ფოთლის, ხილის, მარცვლეულის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება. ამ კულტურებისათვის ახალი ფართობის ათვისება, კოლხიდის დაბლობის მელიორაცია და დაშრობილი მიწების ათვისება, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, სამთო მიწათმოქმედებისათვის აუცილერ მანქანებისა და იარაღების შექმნა და სხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ნარადგის ეროზიასთან, რასაც რესპუბლიკის ზოგ რაიონში ჯერჯერობით ყურადღება არ ექცევა. მიმდინარე წელს იწყება ნიადაგის დეტალური კვლევა ყველა კულმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ოთა დაავადგინოთ ეროზიასთან ბრძოლის საჭირო დიფერენცირებული ღონისძიებანი.

ჩვენს აკადემიასთან შექმნილია საკოორდინაციო საბჭო, დარგობრივი სექციები და საპრობლემო კომისიები. შედგენილია გეგმა საკოორდინაციო პრობლემებისა და თემებისა საბჭოთა კავშირის, ამიერკავკასიისა და თვით რესპუბლიკის ცალკეულ სამეცნიერო დაწესებულებებს შორის. მაგრამ საკოორდინაციო საბჭოს, მუშაობას სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი არა აქვს და, მაშასადამე, საკმაოდ ეფექტიანი ვერ არის.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებთან ერთად, ამბობს ორატორი, საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება ისეთი დიდმნიშვნელოვანი თეორიული პრობლემებისა და თემებისადმი, უორმლოსოდაც შეუძლებელია საერთოდ მეცნიერების განვითარება და პრაქტიკული საკითხების დასაბუთება.

— ჩვენი აკადემიის ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტები ძირითადად ახალგაზრდა დაწესებულებებია, — ამბობს ამ განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი **ვ. ვ. მახალდიანი.** მათი უმრავლესობა შექმნილია უკანასკნელ წლებში. მიუხედავად არსებობის მოკლე ვადისა, ბევრმა მათგანმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. საკმარისია ითქვას, რომ ამ ინსტიტუტებში მიღებულია ახალი შენადნობები, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა.

საუწყებო ინსტიტუტებისაგან განსხვავებით აკადემიის ინსტიტუტების თემატიკაში წმინდა გამოყენებითი მნიშვნელობის სამუშაოებთან ერთად შედის აგრეთვე თეორიული და საცდელი ხასიათის თემები, რომლებიც დაუყოვნებლივ ვერ მოგვცემს პრაქტიკულ ეფექტს, მაგრამ პერსპექტიულია და უზრუნველყოფს ტექნიკურ პროგრესს მომავალში. დიდი მნიშვნელობა აქვს თემატიკის სწორ განაწილებას საუწყებო დაწესებულებებსა და აკადემიის ინსტიტუტებს შორის. მაგალითად, მტალურგიის ინსტიტუტის თემატიკაში ხშირად ვხვდებით როგორც ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის აწ ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხნის მუშაობასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებს, ისე ლითონმცოდნეობის თემებს, რომლებსაც თეორიული ხასიათი აქვს. იბადება კითხვა, რა უფრო მიზანშეწონილია ასეთ შემთხვევაში? — დავტოვოთ ინსტიტუტი აკადემიის სისტემაში, თუ გადავცეთ იგი სახალხო მეურნეობის საბჭოს? ჩემი აზრით, ინსტიტუტი უნდა დავტოვოთ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში, რადგანდაც ამ პირობებში მას უფრო კვალიფიციური ხელმძღვანელობა ჰყავს და უფრო წარმატებით შეასრულებს თავის ამოცანებს.

სამთო მექანიკის პრაქტიკული ხასიათის ბევრ თემას, აგრეთვე თეორიულ საკითხებს ამუშავებენ სამთო საქმის ინსტიტუტში. ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკაში არა გვაქვს საკვლევი ან საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულება, რომელიც დაამუშავებდა სამთო მანქანათმშენებლობის საკითხებს. ეს ხელს უშლის იმას, რომ შეიქმნას ჩვენში ახალი სამთო მანქანები რესპუბლიკის სამთამადნო წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით და განხორციელდეს სერიულ წარმოებაში მყოფი მანქანების მოდერნიზაცია. ჩვენი აზრით საჭიროა შეიქმნას ასეთი სამეცნიერო დაწესებულება სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, რაც საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ განვტვირთოთ სამთო საქმის ინსტიტუტი და უფრო ფართოდ შეგვისწავლოთ იქ სამთო მექანიკის საკითხები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა **პროფესორმა ი. მ. ბუაჩიძემ** აღნიშნა, რომ პარტია და მთავრობა ახლა საბჭოთა მეცნიერებას ახალ, პასუხსაგებ ამოცანებს უსახავენ. ამ ამოცანებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებას. თუ 1950 წელს საქართველოში მეცნიერ მუშაკთა რიცხვი აღწევდა 4.843-ს, 1959 წელს გაუაზდა 7.900-მდე მეცნიერი ნუშაკი. მეცნიერული მუშაობის დღევანდელი მოცულობა მოითხოვს მეცნიერთა ახალი კადრებით შევსებას. მათი მომზადება კი ძირითადად ასპირანტურაში წარმოებს. უკანასკნელ 10 წელიწადში საქართველოს საკავშირო დაწესებულებებს შეეძატა 3.100 მეცნიერი ნუშაკი, ხოლო ასპირანტურა დაამთავრა 1.500 კაცმა. აქედან ცხადია, რომ ასპირანტურა-დამთავრებულთა კონტინგენტი ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას მეცნიერთა კადრებზე. დეფიციტს ფარავენ ყოფილ სკოლის მიერ გამოშვებული ახალგაზრდა სპეციალისტები. მაგრამ მათ შორის ცოტაა ისეთნი, რომლებიც მიზანდადებული არიან მეცნიერული მუშაობისათვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული მუშაობა ფართოდ არ არის გაშლილი, ხოლო სასწავლო გეგმები ისეა გადატვირთული, რომ სტუდენტებს არ რჩებათ დრო მეცნიერულ მუშაობაში მონაწილეობისათვის.

— ყოველივე ის, რასაც თანამედროვე საბჭოთა მეცნიერება აკეთებს, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფ. ლების აკადემიკოსმა-მდივანმა **ნ. ნ. კეცხოველმა,**—საჭიროა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ პრობლემაზე უნდა მუშაობდეს და კიდევაც მუშაობს ბიოლოგიის მეცნიერება, მაგრამ დღევანდელ პირობებში ბარტია ბიოლოგიის მეცნიერება მთლიანად ვერ გადაწყვეტს ამ ამოცანას. საჭიროა მეცნიერი ფიზიოლოგების, ქიმიკოსების, ბიოლოგიების, მედიკების ერთობლივი მუშაობა

სამეცნიერო სესია

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესია, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, მიეძღვნა თემას: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ზოგიერთი საკითხი“,

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, თელავის უმაღლეს სასწავლებელთა სკკპ ისტორიის კათედრების გამგეებმა და სკკპ ისტორიის ლექტორებმა.

სესიამ მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სკკპ ისტორიის სექტორის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. კ. ქვანიას მოხსენება.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ა. ნ. სურგულაძემ, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ე. ე. ბურჭულაძემ, თბილისის სამხატვრო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ ი. ი. მელქაძემ, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ლ. მებერეველმა, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ა. ბ. სტეკლოვმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. მ. კაჟარავამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ბ. მახარაძემ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ვ. სიხარულიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ე. ცერცვაძემ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. მ. ბრეგვაძემ.

მომხსენებელმა და ორატორებმა დაწვრილებით გაამუქეს 1917 წლის დამლევს საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის შეფასების საკითხი, ანალიზი გაუკეთეს კლასობრივი ძალების თანაფარდობას ამ პერიოდში, გამოავლინეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროებითი შეფერხების მიზეზები.

ორატორებმა საფუძვლიანად გააკრიტიკეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხების დამახინჯებანი, რაც დაშვებულია ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა ნაწერებში.

განხილვის შედეგები შეჯამა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ნ. მერკვალაძემ. (საქდესი).

„ვ ო ლ გ ა“ 30 კაპიკად

თ ე ლ ა ვ ი. (საკ. კორ.). სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ივანე ვასილის-ძე ჭიკაძემ თელავის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების 1961 წლის მეორე გამოშვების ლატარიის 76869 სერიის ნომერი № 078 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

ლატარიის ბილეთებით თელაველებმა მოიგეს აგრეთვე ერთი პიანინო, ორი მაცივარი, ხელის საკერავი მანქანები და სხვა ნივთები.

ი. გაგარინი ფინეთში

ჰელსინკი, 30 ივნისი. საკადესის კორესპონდენტი **პ. კონოვალოვი** იტყობინება: „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების მოწვევით დღეს ჰელსინკში ჩამოვიდა პირველი კოსმონავტი მაიორი იური ალექსის ძე გაგარინი. გაგარინის პირველი შეხვედრა მეგობარ ფინელ ხალხთან ჯერ კიდევ სასაზღვრო სადგურ ვაინიკალაში გაიმართა, მთელ გზაზე ჰელსინკამდე მატარებელთან მიდიოდნენ კოუვოლას, ლახტის, რიიპიმიაკის მრავალრიცხოვანი მცხოვრებნი. ისინი სულითა და გულით მიესალმებოდნენ საბჭოთა სტუმარს.

ჰელსინკის ვოგზალზე შეიკრიბნენ ფინეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელნი, „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელები, ფინელი და უცხოელი ჟურნალისტები. ძვირფასი თანამემამულის შესახვედრად მოვიდნენ სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, საელჩოს და სხვა საბჭოთა დაწესებულებების (ფინეთში) თანამშრომლები, მათი ოჯახების წევრები. ბაქნიდან გამოსვლის დროს ი. ა. გაგარინი ყვავილებით აავსეს ფინელმა პიონერებმა, რომლებიც სულითა და გულით მიესალმნენ კოსმოსის პიონერს. ი. ა. გაგარინი თავაზიანად, ღიმილით ესალმება შემხვედრებს. ყოველი მხრიდან გაისმის მისალმების შეძახილები.

ი. ა. გაგარინი და მისი შემხვედრი პირნი გამოდიან ვოგზლის მოედანზე, სადაც ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ბევრს ხელში უჭირავს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ალმები. ისინი მოვიდნენ აქ არა მარტო იმიტომ, რომ დაინახონ, არამედ მოუსმინონ კიდევაც პირველ ადამიანს, რომელმაც კოსმოსში შეაღწია და გარეთ ხორციელი კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნება კოსმოსის დაპყრობის შესახებ. მოედანზე ტრანსპარანტებია, რომლებზეც ფინურ და რუსულ ენებზე წარწერილია მისალმებანი ი. ა. გაგარინისადმი.

„ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების ვიცე-თავმჯდომარე პროფესორი ბუნსდორფი მიესალმა ი. ა. გაგარინს, როგორც საზოგადოების საპატიო წევრს, ფინეთში ჩამოსვლის გამო.

ნაღაშვნის „ჰიტალაპტის“ მუშამ ჰერმონენმა გულითადად მიულოცა ი. ა. გაგარინს საგმირო საქმენი და ჰელსინკის მუშათა სახელით უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ფინეთში“. ჩვენ, ფინელები, თქვა ჰერმონენმა, მეტად მოხარული ვართ, რომ ჩამოხვედით ფინეთში, თუმცა ესოდენ ბევრი მიწვევა გაქვთ. თქვენი კოსმოსური გაფრენა მთელი კაცობრიობის დიდი გამარჯვებაა, საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევაა. როცა 12 აპრილს დილით ჩვენ გავიგეთ, რომ ადამიანია კოსმოსში, მაშინვე მივხვდით: ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საბჭოთა ადამიანი, რადგან საბჭოთა კავშირმა შორს გაუსწრო სხვა ქვეყნებს ამ დარგში. მოხარული ვიყავით, რომ იქ დაფრინავს ჩვენი მეზობლის — იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც გულწრფელად იბრძვის მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი გმირული გაფრენა ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს.

მე. ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, დარწმუნებული ვარ, რომ ფინეთში თქვენ ყველგან შეხვდებით კარგ მეგობრებს და თქვენი მოგზაურობა კიდევ უფრო განმტკიცებს კარგ ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის.

ი. ა. გაგარინის სამასუხო გამოსვლას მიტინგის მონაწილეები მქუხარე ხანგრძლივი ტაშითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ. ი. ა. გაგარინმა მადლობა გადაიხადა, რომ სთხოვეს სწვეოდა ფინეთს და მონაწილეობა მიეღო ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღესასწაულში, რომელიც ქალაქ კემში გაიმართება 1-2 ივლისს. ი. ა. გაგარინმა კმაყოფილება გამოთქვა ფინელ ხალხთან შეხვედრების გამო. აღნიშნა, რომ აღტაცებულია ფინეთის ლამაზი ბუნებით. უკვე ჰელსინკისაკენ მიმავალ გზაზე, ამბობს იგი, ჩვენ მეტად გულთბილად და გულწრფელად გვხვდებოდნენ ფინელი ხალხის წარმომადგენლები.



შეხვედრა თეთრ სახლში

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტ ჯ. კენედის მიწვევით თეთრ სახლში იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები, რომლებიც მონაწილეობენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის აზრთა ორმხრივ გაზიარებაში განიარაღების საკითხებზე. მიღებას დაესწრო პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი განიარაღების საკითხებში ჯ. მაკლოი.

საუბრის დროს ილაპარაკეს საკითხებზე, რომლებიც შეეხება ამჟამად მიმდინარე აზრთა გაზიარებას განიარაღების პრობლემაზე იმ გზით, რომ რაც შეიძლება მალე მიაღწიონ შეთანხმებას ამ პრობლემის შესახებ.

ბერლინი, 30 ივნისი. (საკადესი). დაიდოს საზავო ხელშეკრულება

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ბერლინი, 30 ივნისი. (საკადესი). დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის შედეგები — ეს მოთხოვნა გაისმის ამჟამად უველგან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება მშრომელთა კრებები, რომლებზეც იხილავენ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. კრებების მონაწილენი მხურვალედ მიესალმებიან ინიციატივას, რაც გამოიჩინეს უკანასკნელ დროს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხებში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა პაულ ფერნერმა, რომელიც გამოვიდა ბერლინის ერთ-ერთი დიდი ელექტროტექნიკური საწარმოს — ობერშპრეის კაბელის ქარხნის მუშების წინაშე, საზავო ხელშეკრულება დაახასიათა როგორც ერთადერთი შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაეწიოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამალებულ ატომურ შეიარაღებასა და რევანშისტულ პროპაგანდას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამშენებლო აკადემიის პრეზიდიუმის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებები საზავო ხელშეკრულების შესახებ მთლიანად და სავსებით შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს დღეს მოწინავე სტატიაში, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის გამოიყენოს ის ისტორიული შესაძლებლობანი, რასაც უქმნის გერმანელ ხალხსა და ორ გერმანულ სახელმწიფოს საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობანი ჯერ არასდროს ისტორიაში არ. მიუნიშებია გამარჯვებულს დამარცხებულისათვის. ახლა დასავლეთ გერმანიის კანცლერს ადენაუერს აქვს ახალი შანსი წასწიოს წინ ერთადერთი შესაძლებელი გზით გაერთიანების საქმე.

მაგრამ ვინც გაერთიანებით გულისხმობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას, ვისაც უნდა სახელმწიფოებრივი ერთიანობა, რათა ჩაიდინოს ახალი სამხედრო დანაშაული, იგი დამარცხდება. ნ. ს. ხრუშჩოვმა, ხაზგასმით აღნიშნული გაზეთში, ამ დღეებში გაფრთხილება მისცა ამ საშიში და არარეალური პოლიტიკის მომხრეებს.

„ეროვნული ბოიკოტი“

ახლა, როცა თქვენ დამოუკიდებელნი გახდით, ჩვენ თვითონ შეგვიძლია ტვირთი ვზიდოთ...

ნახატი ყოველკვირეულ „აფრიკა-აქსიონიდან“.

კ ო ნ გ ო ე ლ თ ა მ ტ კ ი ც ე გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

კაირო, 30 ივნისი. (საკადესი). კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი წლისთავის გამო კონგოს კანონიერი მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურმა პატრ ლუმუმბამ ა ქ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია:

ექსპლოატაციის, ძარცვის, დევნისა და დამცირების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ კონგოელმა ხალხმა მიაღწია იმას, რომ შეუძლია თვითონ განაგოს საკუთარი საქმეები. მაგრამ როცა ახალგაზრდა მთავრობამ გადაწყვიტა საკისებით გაეთავისუფლებინა თავისი ქვეყანა, იმპერიალისტები უყოყმანოდ გამოვიდნენ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

განცხადება გმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებას კონგოში როგორც „ახალგაზრდა რესპუბლიკის ისტორიის შავბნელ ფურცელს“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დღემდე არ შეუსრულებია გადაწყვეტილებანი, რომლებიც კონგოს საკითხზე მიიღო უშიშროების საბჭომ, აღნიშნავს პირ მულელი. პირიქით, სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების თვალწინ „კონგოელი ხალხის მოღალატენი განაგრძობენ რესპუბლიკის დანაწილებას, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება კონგოს ზოგიერთ რაიონში, ხოლო პრემიერი პატრის ლუმუმბა და თავისუფლებისათვის სხვა მებრძოლები დაპატიმრეს, აწამეს და მოღალატურად დახოცეს იმპერიალისტებმა და მათმა აგენტებმა.

კონგოს მთავრობა, რომელსაც პატრის ლუმუმბას მიმდევარი ანტუან გიზენგა მეთაურობს, ეფექტიან კონტროლს უწევს კონგოს ტერიტორიის ნახევარზე მეტს.

განცხადება მთავრდება სიტყვებით:

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივაღწიოთ კონგოს რესპუბლიკის სრულ და უფუო თავისუფლებას, ტერიტორიის ერთიანობასა და მთლიანობას.

ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი გ ვ ა ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ს

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ჰენრი უინსტონი განთავისუფლებულია საპყრობილედან.

უინსტონს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გეს ჰოლი და ყოველკვირეული გაზეთის „უორკერის“ რედაქტორი ჯეიმს ჯეკსონი.

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა დღეს უოლოსსის კუნძულზე (ვირგინიის შტატი) სცადეს გაეშვათ თანამგზავრი ორბიტაზე დედამიწის გარშემო. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, ეს ცდა ჩაიფუშა, რადგან ვერ ამუშავდა რაკეტის მეოთხე საფეხური.

ევროპის პირველობა ჭ ა დ რ ა კ ი ს ა

ოგბერკაუზენი, 1 ივლისი. (საკადესი). ჭადრაკში ევროპის გუნდური პირველობის უკანასკნელსწინა ტური, რომელიც 30 ივნისს გაიმართა, დამთავრდა შემდეგი შედეგებით: უნგრეთი-სსრ კავშირი — 1,5:4,5, ჩეხოსლოვაკია-იუგოსლავია — 3,5:3,5, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-ესპანეთი — 3:5.

დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირის ლიდერების—სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების მატჩმა. დიდოსტატ სალბოს (უნგრეთი) შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ბოტვინიკთან მეტად მწკავედ ვითარდებოდა. სხვადასხვა მხარეს როქის შემდეგ საბმა დაიწყო შეტევა ბოტვინიკის მეფის წინააღმდეგ, მალე მსოფლიო ჩემპიონის მდგომარეობა ძნელი გახდა. მაგრამ კრიზისულ მომენტში საბომ ძლიერად ვერ განაგრძო თამაში, დაკარგა ხარისხი და 31-სვლაზე დანებდა.

კარგი სტილით კორჩნოიმ მოუგო ბიკელს. საბოლოო პოზიციაში უნგრელმა ოსტატმა თავიდან ვერ აიცილა შამათი და იძულებული გახდა დანებებულიყო 38-ე სვლაზე. მსოფლიო ექსჩემპიონმა ტალმა ფორტიშის წინააღმდეგ პარტიაში მეტად სწრაფად გადაიტანა თამაში რიულ ჰაიკთა დაბოლოებაში. ტალის დაშორებულმა გამსვლელმა პაიკმა გადაწყვიტა ბრძოლა ბის სასარგებლოდ. ფურმანმა მოუგო ფორინტოშს (უნგრეთი), ხოლო პოგაჩმა (ფინგრეთი) — პოლუგაევსკის. ყიიმით დამთავრდა ბარცას (უნგრეთი) და პეტროსიანის პარტია. ოთხი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

დღეს დელისის იპოდრომზე

დღეს, თბილისში, დელისის იპოდრომზე სახეიმოდ გაიხსნება ტექნიკური სახეობის სპორტში რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა.

სპარტაკიადის შტაბის უფროსმა, საქართველოს დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ამულაძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

სპარტაკიადა, რომელიც ტექნიკური სპორტის მრავალ სახეობას მოიცავს, მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და მიმზიდველი ასპარეზობაა. დასკვნით შეჯიბრებას, რომლის ალაში დღეს აღიმართება, წინ უძღოდა ძირეული კოლექტივების, საქალაქო და საოლქო შეხვედრები, რომლებშიც ჩაბმული იყო 150 ათასამდე სპორტსმენი.

სპარტაკიადის პროგრამა მრავალფეროვანია. შეჯიბრება მოეწყობა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, იგი 11 ივლისამდე გაგრძელდება. ზოგიერთ სახეობაში, კერძოდ — პლანერისტთა, პარაშუტისტთა და ავტორალელთა შეჯიბრება დამთავრდა. სპარტაკიადაში გამოვლენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, თელავის სპორტსმენები.

შეხვედრები ავტომოდელურ, რადიო და სასროლო სპორტში მოეწყობა თბილისში, მოტოსპორტში — რუსთავში, საავიაციო სპორტში — ბოლნისში, საზღვაო სპორტში — ბათუმში.

სპარტაკიადის გახსნის დღეს სპორტსმენთა პარადთან ერთად იპოდრომზე მოეწყობა პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

სსრკ ნაკრები — ნორვეგია 5:2

მ. მოსკოვის ცენტრალურ სტადიონს გუშინ ჩვეულებრივზე მეტი სტუმარი ეწვია. ეს გასაგებიც იყო — აქ მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრასთან ერთად დანიშნული იყო მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის.

სტუმრები თამაშობდნენ თავიანთ საუკეთესო შემადგენლობით. სსრ კავშირის ნაკრების რიგებში იყვნენ — მასლაჩენკო, მედკინი, მასლიონკინი, ჩახელი, ვორონინი, მანოშინი, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

თავიდანვე აშკარა გახდა ხაბეოთ: ფეხბურთელების უპირატესობა — ისინი სჯობნიდნენ მეტოქეს ტექნიკურ ბრძოლაში, მანევრულ ტაქტიკაში, ტემპში.

იერიშები მიმდინარეობდა ფლანგებიდან, ცენტრიდან. შეტევებში აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები ვორონინი, მანოშინი. მე-14 წუთზე კარგი კომბინაციის შემდეგ მეტრეველმა შესანიშნავად გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში — გოლი — 1:0.

მართალია, არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ნორვეგიელები ზოგჯერ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს ჩვენს კართან. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს ჩახელმა აშკარა გოლს გადაარჩინა ღია კარი. 26-ე წუთზე პონედელნიკმა მეტად ძნელი მდგომარეობიდან შეძლო გაეზარდა ანგარიში, ხოლო 32-ე წუთზე ბუბუკინმა თავური დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა.

შეჯიბრების მეორე ნახევარი კვლავ მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მე-9 წუთზე მესხის შესანიშნავმა ფინტმა და ძლიერმა დარტყამმ ჩვენს გუნდს კიდევ ერთი გოლი მოუტანა. სტუმრები არ ცხრებოდნენ. მე-20 წუთზე ბორგენმა (№ 7) კარგად გამოიყენა მცველთა შეცდომა და სანასუხო ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ მეტოქეებმა 23-ე და 44-ე წუთზე ანგარიში თითო გოლით გაზარდეს. ბურთები გაიტანეს ბუბუკინმა და პანსენმა.

გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 5:2. ეს ჩვენი ფეხბურთელების მეორე გამარჯვებაა.

ს პ ო რ ტ უ ლ ი ა მ გ ვ ე ბ ი

შუა ევროპის თასზე. შუა ევროპის თასის გათამაშების პირველივე ტურმა მოულოდნელი შედეგები მოგვცა.

ვენაში ავსტრიის არაერთგზის ჩემპიონმა „ვინერ შპორტკლუბმა“, რომლის შემადგენლობაში ეროვნული ნაკრების 7 ფეხბურთელი შედის, თავის მოედანზე მარცხი განიცადა (3 : 5) ბერლინის „დინამოსთან“ შეხვედრაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონმა „ფორვერტსმა“ პირდაპირ „მუსრი გაავლო“ ავსტრიის ჩემპიონატის პრიზიორს „ვინერ ატლეტიკ კლუბს“ (6 : 1).

„ვაშაში“ — უნგრეთის ჩემპიონი. ჩემპიონატში თითქმის მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერობდა შარშანდელი ჩემპიონი „დოჟა“ (უიპეშტი), მაგრამ ამ გუნდმა სუსტად ითამაშა ფინიშზე. უკანასკნელისწინა, 25-ე ტურში „რეგედთან“ დამარცხებით „დოჟამ“ ჩემპიონობა დაუთმო „ვაშაშს“. ახალი ჩემპიონი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ფეხბურთელებით, რომელთა მხარდამხარ წარმატებით იბრძვიან უნგრეთის ეროვნული ნაკრების გამოცდილი ფეხბურთელები კარპატი (№ 2), შაროში (№ 4), ბერენდი (№ 6) და მახოში (№ 9). „ვაშაში“ მონაწილეობას მიიღებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მომავალ, VII გათამაშებაში.

ბარობის გადადგომა. უნგრეთის ეროვნული ნაკრების ცნობილმა მწვრთნელმა ლაიოშ ბარობამ ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობას სთხოვა — გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან. ამის მიზეზად მიაჩნიათ უნგრეთის ნაკრების დამარცხება ბუდაპეშტში ავსტრიელებთან (1:2).

თუმცა უნგრეთის ნაკრების პოზიციები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეტად მტკიცეა (პირველი წრის შემდეგ მას 4 ქულა აქვს, ჰოლანდიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს — თითო ქულა), მაგრამ მომომხილველებს მიაჩნიათ, რომ გუნდს ბევრი ნაკლი აქვს. კერძოდ, აღნიშნავენ თავდამსხმელთა სუსტ თამაშს.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი ს ლ ი ტ ვ ი ნ ი ს გ ა დ ე ს თ ა ნ

სპორტული პაექრობა „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის გრძელდება.

30 ივნისის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა კიევის „ლოკომოტივის“, რომელიც საპრიზო ადგილების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, და თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდებს შორის მატჩი. ბრძოლა, რომელიც ყველაზე მძაფრი და ხანგრძლივი აღმოჩნდა (იგი ორნახევარ საათს გრძელდებოდა) დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ლენინგრადის არმიელმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი“.

საერთაშორისო შეხვედრები

სვერდლოვსკში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში რუმინეთის საკლუბო გუნდსა და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შორის. გაიმარჯვეს სტუმრობა ანგარიშით 5:2.

ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად იმყოფება ჩელიაბინსკის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივი. აქ ლოკომოტიველები შეხვდნენ ბრნოს „სპარტაკს“. მატჩის შედეგი ფრე — 3:3.

ჰ ა ვ ა ი ს ლ ო ტ ო ს ი

ს ო ხ უ მ ი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკურ ბაღში საბჭოთა კავშირსა და ევროპაში პირველად 25 ივნისს გაიშალა ლოტოსის თეთრი ყვავილები. ამ მცენარის თესლი 1959 წლის დეკემბერში ჩამოიტანა პროფესორმა ა. ვასილიევმა ქ. ჩენდუდან (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

ბუნების მოყვარულებსა და მეყვავილეთა შორის ამ იშვიათი სახეობის მცენარის ლოტოსის ყვავილობა დიდ ინტერესს იწვევს.

— ლოტოსის კულტურა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა პ. რუხაძემ, — ფართოდ გავრცელებულია სამხრეთ აზიაში. ველურ მდგომარეობაში ვარდისფერყვავილიანი ლოტოსი ხარობს ბუნებრივ წყალსაცავებში კასპიის ზღვის ნაპირებიდან იაპონიამდე, ფილიპინის კუნძულებზე და ინდოეთში, სადაც ის უწმინდეს ყვავილად — ბუდნიერების სიმბოლოდ ითვლება.

ჩინეთში ლოტოსისაგან ამზადებენ სამკურნალო პრეპარატებს, რომლებიც ფართოდ ცნობილია ტიბეტის მედიცინაში. ამასთან ერთად ლოტოსს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, როგორც საკვებ მცენარეს. მის ფესვებსა და თესლში ბლომად არის სახამებელი. ლოტოსის ფოთლები, რომლებიც დაფარულია სქელი სანთლისებური ზოლებით, სრულებით არ იკარებს წყალს.

თეთრი ლოტოსის ყვავილებს ბოტანიკური ბაღი გაგზავნის მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ყვავილების საკავშირო გამოფენაზე ქ. ერფურტში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ქ ე ნ ე ვ ი ს თ ა თ ბ ი რ ზ ე

ჟენევა, 30 ივნისი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი **ვ. რომანოვსკი** იუწყება: დღეს ლაოსის პრობლემის მოწესრიგებას საერთაშორისო თათბირის მონაწილენი შეიკრიბნენ მორიგ სხდომაზე მ. მაკდონალდის (ინგლისი) თავმჯდომარეობით. სიტყვის წარმოსათქმელად ჰაიწერნენ სახალხო პოლონეთისა და სამხრეთ ვიეტნამის წარმომადგენლები.

პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ნაშკოვსკიმ თქვა, ლაოსის სამი პრინცის ციურიხის კომუნიკეს დიდი მნიშვნელობა აქვს თათბირისათვის, რამდენადაც კომუნიკეში განსაზღვრულია ლაოსის საგარეო პოლიტიკის პრინციპები. „ჩვენ ამჟამად ვიცით და ეს ავტორიტეტულად დადასტურდა, რომ ლაოსის დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის პლატფორმა, რომელსაც ამთავითვე აკანდებენ პრინც სუვანაფუმასა, მიღებულ იქნა ლაოსის მთელი ძირითადი ძალების საგარეო პოლიტიკის პლატფორმად“.

ციურიხის კომუნიკე, განაგრძო პოლონეთის დელეგატმა, იძლევა არა მარტო ნეიტრალიტეტის ცნებათა განსაზღვრას, არამედ კიდევაც ავსებს მას ისეთი ელემენტებით, როგორიც არის მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობის დამყარება ყველა სახელმწიფოსთან, პირველ ეტაპზე მეზობელ სახელმწიფოებთან“, „ამ პრინციპებს დღეს სულ უფრო მეტი სახელმწიფო უდებს საფუძვლად სხვა სახელმწიფოებთან თავის ურთიერთობას. ამრიგად, ნეიტრალიტეტი, რომლის დაცვა სურს ლაოსს, წვლილი იქნება სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარებაში“, — თქვა მ. ნაშკოვსკიმ.

პოლონეთის დელეგატმა შეიტანა წინადადება გადაიდგნენ ლაოსის პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრაზე. ამასთან გაითვალისწინონ ლაოსელი ხალხის ნებასურვილი. რაც, გამოთქვეს ციურიხის კომუნიკეში, რომელსაც 22 ივნისს ხელი მოაწერეს ლაოსის სამი პოლიტიკური ძალის ლიდერებმა.

სამხრეთ ვიეტნამის წარმომადგენელმა უარი თქვა სიტყვაზე.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 3 ივლისს.

დ ი ნ რ ა ს კ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კომპანიის ტელევიზიით გადაცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა 29 ივნისს საღამოს განაცხადა, რომ უახლოეს თვეებში შეერთებული შტატები გადადგამენ მთელ რიგ ნაბიჯებს, „რომლებიც უჩვენებენ კრემლს“, რომ „დასავლეთს მტკიცე პოზიცია უკავია“ დასავლეთ ბერლინის საკითხში. რასკმა აღნიშნა შემდეგ, რომ შეერთებული შტატები დასავლეთ ბერლინის საკითხს განიხილავენ თავიანთ მოკავშირეებთან და გამოთქვა იმედი, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს შორის „არ წარმოიშობა გათიშულობის

ჩვენი ჯანმრთელობის უნივერსიტეტი

რ ო გ ო რ ც ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილია, გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის ფურცლებზე დაიყენა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: „გ ვ ი ნ დ ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ბ ა? ვ ი ა რ ო ო ფ ე ხ ი თ!“. მას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი მკითხველები.

რედაქციაში ნაკადად შემოდის მშრომელთა წინადადებები ფეხით სიარულის მნიშვნელობის შესახებ. მეტი წილი ამ წერილებისა საკუთარ გამოცდილებაზეა აგებული და მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აკაჟებს, აწრთობს, აჯანსაღებს ორგანიზმს ბუნების წიაღში სუფთა ჰაერზე ყოფნა, ფეხით გეგმაზომიერი სიარული.

ამავე დროს ჩვენი მკითხველები გვთხოვენ გარდა ფეხით სიარულისა, გაზეთმა სისტემატურად დაბეჭდოს წერილები ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივების აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე.

ვასრულებთ მათს თხოვნას. დღეიდან გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მუშაობას იწყებს „ჩვენი ჯანმრთელობის უნივერსიტეტი“.

მეუობრებო. გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი აზრი და სურვილი „ჩვენი ჯანმრთელობის უნივერსიტეტის“ პირველ საუბარში აღძრულ საკითხებზე, მის მომავალ თემატიკაზე.

თუ გინდა იყო
დღეგრძელი, ძლიერი...

ბ. ყურაშვილი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ცხოვრება მოძრაობისა და დასვენების განუწყვეტელი ცვლაა. თვითეული ჩვენგანის დღის რეჟიმი — დილის ვარჯიშს ვატარებთ თუ შინ ვაკეთებთ რამეს, სამუშაოზე მივდივართ თუ ფიზიკურ შრომას ვეწევით, ორგანიზმის სხვადასხვა სახის დაძაბულობას მოითხოვს.

მოძრაობა, რომელსაც ადგილი აქვს ახალდაბადებული ბავშვის პირველ ამოძახილის დროს, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმის განვითარების, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ ჩვენი სხეულის ერთ-ერთმე ორგანოს განვითარების შეუცვლელ პირობას წარმოადგენს მუშაობა, მისი ცხოველმოქმედება, ფუნქციის შესრულება. ეს მუშაობა კი გამოხატულია მოძრაობაში, ურომლისოდაც ორგანიზმი სუსტდება და სხვადასხვა დაავადებათა ადვილად მიმღები ხდება. უძრაობა ხელს უშლის განვითარებას, იგ ჯანმრთელობის მტერია.

ჩვენი ორგანიზმის სიცოცხლე შეიძლება ნორმალურად მიმდინარეობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის გარეგან გარემოსთან **მუდმივ ნივთიერებათა ცვლასა და მოძრაობაშია, რაც ასევე ნერვული სისტემა და შინაგანი ორგანოები განუწყვეტლივ მოქმედებენ.**

ადამიანის სხეულის მოძრაობის აპარატს წარმოადგენს კუნთსახსართა სისტემა, რომელთა საშუალებით ხორციელდება მოძრაობა. მოძრაობა პირველ რიგში თვით მოძრაობის ორგანოების—კუნთების განვითარებაზე ახდენს გავლენას. თუ შევადარებთ მძლეოსნის ძლიერად განვითარებულ კუნთებს იმ ადამიანის კუნთებს, რომელიც ნაკლებად მოძრავ, დამჯდარ ცხოვრებას ეწევა, დავწრუნდებით ძლიერ თვალსაჩინო განსხვავებაში. კარგად განვითარებული კუნთები ადამიანის სხეულს სილამაზეს აძლევს, ე. ი. მოძრაობა ადამიანის სხეულის ერთგვარი მოქანდაკეა.

ცნობილია, რომ ერთი ორგანოს გარდაქმნა, განვითარება მეორე ორგანოს ცვლილებებსაც იწვევს. მაგალითად, კუნთების განვითარებას თან ახლავს ძვლების განვითარებაც, განსაკუთრებით კუნთების მიმაგრების ადგილებზე. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან მძლეოსანს, რომელსაც კუნთები ძლიერ განვითარებული აქვს, კუნთების მიმაგრების ადგილზე ძვლებიც განვითარებული უნდა ჰქონდეს, დაძაბული ფიზიკური შრომა რომ შეასრულოს. მაგრამ კუნთები მარტო ძვლებზე კი არ არის მიმაგრებული. ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო—გული კუნთს წარმოადგენს, და სხეულის მოძრაობის შედეგად გულიც ვითარდება, ვინაიდან მოძრაობის დროს გულს უხდება მეტი სისხლის მიღება და ქსოვილებისაკენ გაგზავნა.

ნახ. ი. ჭოკაშვილისა.

გ ულ ს თუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში უხდება ნახევარი ძალით მუშაობა, როგორც ეს მოსვენებულ მდგომარეობაში ხდება, მაშინ პირველ მომატებულ დატვირთვას შეიძლება ვერ გაუძლოს. ნაკლებად ნავარჯიშევი ადამიანის გული მოსვენებულ მდგომარეობაში თვითეული შეკუმშვის დროს აორტაში გადაისვრის 50 კუბურ სანტიმეტრ სისხლს, ხოლო მუშაობის დროს—არაუმეტეს 100 კუბური სანტიმეტრისა. სულ სხვა მდგომარეობა აქვს სისტემატურად ნავარჯიშევ ადამიანს. მოსვენებულ მდგომარეობაში მისი გული აორტაში გადაისვრის 100 კუბურ სანტიმეტრ სისხლს, ხოლო მუშაობის დროს — 200 კუბურ სანტიმეტრს. აქედან გასაგებია, თუ რა ძალა უნდა ჰქონდეს გულის კუნთოვან კედელს, რომ აორტაში გადაისროლოს სისხლის ასეთი მასა, ისიც მცირე დროის მონაკვეთში, მეოთხედ წამში.

ვ ანვითარებული გული აუცილებელია არა მარტო სპორტსმენებისათვის, არამედ ყოველი ადამიანისთვისაც. გულმა ყოველთვის შეიძლება არ იმუშაოს სრული დატვირთვით, მაგრამ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს დიდი სათადარიგო შესაძლებლობანი. თუ ადამიანი ასრულებს მუშაობას, რომლის დროს გულს უხდება 100 კუბური სანტიმეტრი სისხლის გაგზავნა აორტაში, ეს მუშაობა ნავარჯიშევი გულისათვის ნახევარი ძალით მუშაობაა, ხოლო არანავარჯიშევისათვის უკვე მაქსიმალური დატვირთვაა.

ლექცია პირველი

იგივე შეიძლება ითქვას ფილტვების შესახებ. არანავარჯიშევი მოზრდილი ადამიანის ფილტვების მოცულობა 3-4 ლიტრ ჰაერს შეადგენს, ხოლო ნავარჯიშევი ადამიანისა 5-7 ლიტრს. მაგრამ, როგორც წესი, ფილტვების მთელ მოცულობას არ ვიყენებთ. მუშაობის დროს ადამიანი ჩვეულებრივად შეისუნთქავს მაქსიმალური მოცულობის ჰაერის ნახევარს. ცნობილია, რომ თუ ინტენსიური მუშაობა მოითხოვს თვითეული შესუნთქვისას 3 ლიტრ ჰაერს, ეს ნავარჯიშევი ადამიანისათვის ჩვეულებრივი ციფრია, არანავარჯიშევი ადამიანი კი ასეთ მდგომარეობას ვერ აიტანს.

სისტემატური ვარჯიში საგრძნობლად ადიდებს ორგანიზმის შესაძლებლობებს, აძლიერებს ადამიანის შრომისუნარიანობას. მოძრაობა, ვარჯიში სრულქმნილს ხდის ჩვენს გრძნობათა ორგანოებსაც.

სხვადასხვა პროფესიებისა და ფიზიკური ვარჯიშის გავლენის შედეგად უმჯობესდება სმენა, მხედველობა. მაგალითად, მეზღვაურები (გემის მოძრაობის მიმართულებით მეთვალთვალენი), ფეხბურთისა და სხვა სპორტული თამაშის ოსტატები ერთ და იმავე დროს ხედავენ შორ მანძილზე მდებარე სხვადასხვა საგნებს. მათ უვითარდებათ აგრეთვე სილრმითი მხედველობა, რომელიც საშუალებას აძლევს ძლიერ ჩქარა, თვალწმოთ განსაზღვრონ მანძილები ცალკეულ საგნებამდე ანუ საგნებს შორის.

კუნთების მუშაობასთან ერთად ადამიანი თუ ჩაატარებს გამჯანსაღებელ პროცედურებს, მაშინ მისი ორგანიზმი სხვადასხვა დაავადების ნაკლებ მიმღები იქნება. ადამიანი, რომელიც სუფთა ჰაერზე სისტემატურად ატარებს ფიზიკურ ვარჯიშს, იშვიათად ხდება ავად გრიპით, ანგინით და სხვ.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ მოძრაობა, ვარჯიში გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებისა და ორგანოების აგებულებაზე. ბავშვის ზრდისა და განვითარების პერიოდში, ხოლო შემდეგ მოზრდილ ასაკში სწორად ორგანიზებული შრომა, ფიზიკური ვარჯიში ხელს უწყობს ნერვული სისტემის, ხონჩხის, კუნთების, გულის, ფილტვებისა და სხვა ორგანოების სრულფასოვან განვითარებას.

მეცნიერთა დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ ბავშვებსა და მოზრდილებს სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის შედეგად უკეთესად უვითარდებათ გული, უფრო სრულქმნილი ხდება გულის კუნთი. ცვლილებები ხდება აგრეთვე ძვლების აგებულებაში, უფრო მსხვილდება, მაგრდება და მკვიდრდება ძვლები. ამიტომ საჭიროა ბავშვებს არ ავუკრძალოთ სხვადასხვა მოძრაობები. ვარჯიში, თამაში, ბავშვის ზრდის პერიოდში ეს აუცილებელია, ამას თითხოვს თვით ბავშვის ორგანიზმი, მისი ნერვული სისტემა.

სავსებით აუცილებელია აგრეთვე ფიზიკური ვარჯიში და სხვადასხვა მოძრაობა ხანშიშესული ადამიანებისთვისაც, ვინაიდან ყოველივე ეს ხელს უშლის, აჩერებს ორგანიზმში მიმდინარე ასაკობრივ ცვლილებებს.

ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ნებისმიერი მოძრაობა, რა სახითაც უნდა გამოვლინდეს იგი—მიმოზის ფოთლის სუსტი მოძრაობიდან ადამიანის ვირტუოზულ მოძრაობამდე, რომლისთვის დღეს მიუღწევია ადამიანს, ყოველთვის მოითხოვს ენერგიის დახარჯვას. დიდძალ ენერგიას მოითხოვს ის მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს ცოცხალი ორგანიზმის შიგნით. მაგალითად, ადამიანის გული დღედაღამ მუშაობს, ის სისხლის ძარღვებში გადაისვრის სისხლს, რომელსაც უჯრედებსა და ქსოვილებში მიაქვს საკვები მასალა და ჟანგბადი.

უდიდეს მუშაობას ეწევიან ადამიანის თირკმელები. 24 საათის განმავლობაში თირკმელებში ფილტრაციას გაივლის 170 ლიტრამდე სითხე, რომლის უდიდესი ნაწილი შეიწოვება სისხლში, ხოლო მცირე ნაწილი გამოიყოფა შარდის სახით, რომელიც შეიცავს ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებს. ამრიგად, ყველა ფიზიოლოგიური პროცესი მოითხოვს ენერგიის დახარჯვას, ხოლო ეს ენერგია ორგანიზმში განუწყვეტლივ უნდა იყოს. იბადება კითხვა — საიდან იღებს ორგანიზმი ამ ენერგეტიკულ რესურსებს?

ე ნერგიის პირველად წყაროს წარმოადგენენ კვების პროდუქტები: ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები, რომლებიც ჩვენი საკვების შემადგენლობაში შედიან. ისინი ორგანიზმში ძლიერ რთულ ქიმიურ გარდაქმნას განიცდიან და სისხლში შეიწოვებიან. მაგრამ ამ ნივთიერებათა დაშლის შედეგად გამოყოფილი ენერგია კი არ წარმოადგენს ძირითადს, არამედ ძირითადი ის ენერგიაა, რომელიც წარმოიშობა უამრავ ორგანულ ნივთიერებათა დაუანგვითი პროცესების შედეგად.

ცნობილია, რომ კუნთების ზრდა დაკავშირებულია მათში კუნთოვანი ცილის დაგროვებასთან. მაგრამ ნაკლებადმოძრავმა ადამიანმა რამდენიც უნდა ჭამოს კუნთოვანი ცილა, მის კუნთებში არ დაგროვდება იგი, არამედ გარდაიქმნება მხოლოდ ცხიმად. ხოლო თუ სპორტსმენი სისტემატურად და გაძლიერებით ხარჯავს თავისი კუნთების ენერგეტიკულ და საშენ მასალას, მაშინ მას ჩვეულებრივი კვების შემთხვევაშიც უდიდდება ცილოვან-კუნთოვანი მასა.

მ ო ძ რ ა ო ბ ა ს, მ უ შ ა ო ბ ა ს ა ხ ა ს ი ა თ ებ ს კ ი დ ე ვ ე რ თ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ებ ა. ი ს ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს ნ ო რ მ ა ლ უ რ ნ ი ვ თ ი ე რ ებ ა თ ა ც ვ ლ ას ო რ გ ა ნ ი ზ მ შ ი. არიან ადამიანები, რომლებიც ადვილად იმატებენ წონაში, მათთვის მოძრაობა საუკეთესო საშუალებაა წონის დაკლებისათვის. ამავე დროს არიან ადამიანები, რომლებსაც ნორმალური წონაც არა აქვთ. მოძრაობა, ვარჯიში მათთვისაც წარმოადგენს კარგ საშუალებას. ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი იწყებს ენერგიის ნორმალურად და ეკონომიურად დახარჯვას.

მოძრაობის, მუშაობის, ვარჯიშის შედეგად შეიძლება გარდაიქმნას ორგანიზმი, ისე, რომ საერთო წონა უცვლელი დარჩეს, ხოლო კუნთებისა და ცხიმის წონითი შეფარდება შეიცვალოს, ცხიმის წონა შემცირდეს და კუნთებისა გაიზარდოს.

ადამიანის ორგანიზმის სრულყოფილი და ხანგრძლივი შრომისუნარიანობისათვის საკმარისი არ არის მარტო მუშაობა, მოძრაობა, ვარჯიში, არამედ საჭიროა დასვენებაც. ძირითადი ამოცანაა სწორად შევუხამოთ ერმანეთს მოძრაობა და დასვენება.

როდესაც ადამიანი ისვენებს, მაშინ მის ორგანიზმში თანდათანობით ქრება ფიზიკური დატვირთვის დროს წარმოშობილი რთული ცვლილებები, რომლებმაც გამოიწვია დაღლილობის გრძნობა. მუშაობისა და დასვენების სწორი რიტმის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი კვები, რომელიც დაუღლელად მუშაობს მრავალი წლის განმავლობაში. გულის კუნთი დღეღამეში მხოლოდ 8 საათს იკუმშება, დანარჩენ 16 საათს კი ისვენებს.

ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ სრული უძრაობა, საწოლში წოლა ითვლება ნამდვილ დასვენებად. ეს მცდარი შეხედულებაა. ადამიანი ჩვეულებრივად დღეღამეში იძინებს 7-8 საათს და ეს სავსებით საკმარისია, რომ ორგანიზმმა ხელახლა მოიკრიფოს ძალა. სხვა დროს მოძრაობა საუკეთესო აქტიური დასვენებაა.

როგორც წესი, ადამიანის შრომითი საქმიანობა ცალკეული მისი ორგანოებისაგან მოითხოვს სხვადასხვაგვარ მონაწილეობას. გონებრივი შრომის დროს ძირითადი დატვირთვა მოდის ტვინზე, მაგრამ არა მოლიანად, არამედ მის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილზე. ფიზიკური შრომა კი ძლიერ ხშირად დაკავშირებულია კუნთების ერთი ჯგუფის გაძლიერებულ მუშაობასთან, ხოლო ორის უმოქმედობასთან და პირიქით. შრომითი საქმიანობაში ორგანოთა სხვადასხვაგვარი მონაწილეობა ხელს უწყობს არათანაბარ განვითარებას. ამ ნაკლოვანებების ლიკვიდაციისა და ორგანიზმის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია აქტიური დასვენება — ეს არის დასვენება მოძრაობაში. ის ამაგრებს ორგანიზმს, აძლიერებს ადამიანის შრომითსა და შემოქმედებითს შესაძლებლობებს.

ასეთ აქტიურ დასვენებას შეიძლება მივაკუთვნოთ **ტურიზმი და ნადირობა.** განსაკუთრებით საქართველოში საუკეთესო ბუნებრივი პირობებია სპორტის ამ ორი სახის განვითარებისა და ადამიანის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად მათი გამოყენებისათვის.

ამრიგად, დასვენება და მოძრაობა დაღლილობის ლიკვიდაციის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია. **დასვენება არ უნდა გავიგოთ როგორც უსაქმურობა, უძრაობა.** დასვენება მუშაობის, ვარჯიშის შემდეგ აუცილებელია ორგანიზმის განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის. სწორედ ამ დროს ხდება ორგანიზმში ის „გარდაქმნები, რომლებიც იწვევენ ახალი ენერგიის დაგროვებას და აძლიერებენ ორგანიზმის მუშაობის შესაძლებლობებს.

მაგრამ ეს დრო არ უნდა იყოს არც მცირე და არც ხანგრძლივი. მოძრაობისა და დასვენების სწორი შეხამება განაპირობებს ორგანიზმის განუწყვეტელ მუშაობას, ამაგრებს ორგანიზმს და მატებს მას ამტანობას.

მ ო ძ რ ა ო ბ ა ს ს ი ხ ა რ უ ლ ი ს წ ყ ა რ ო ა. ადამიანი როდესაც მოძრაობს, ამით განიცდის კმაყოფილებას. მაგალითად, ცურვა უდიდესი კმაყოფილების მომგვრელია, უდიდესმა ფიზიოლოგმა ი. პავლოვმა სწორედ ასე უწოდა ამ შეგრძნებას—„კუნთების სიხარული“. მოძრაობის ცხოველმყოფელი მოქმედება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის მოქმედებს არა მარტო ადამიანის კუნთებზე. არამედ ორგანიზმის თითქმის ყველა ორგანოზე, აძლიერებს და განამტკიცებს მის ფუნქციას და მათ შორის ყველაზე საუკეთესო ფუნქციას — აზროვნებას.

ამრიგად. ყველა ასაკის ადამიანისათვის შესაფერისად ორგანიზებული კუნთოვანი მოქმედება — ფიზიკური კულტურა, შრომისა და დასვენების სწორი შეხამება განსაზღვრავს ჯანმრთელობის არა მარტო შენარჩუნებას, არამედ გაუმჯობესებას, მაღალ შრომისუნარიანობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სიცოცხლე
გასცდა საუკუნეს...

დ ა დ გ ე ნ ი ლ ი ა, რომ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება არ წარმოადგენს რომელიმე განსაკუთრებული რაიონის, ქვეყნის, ან ცალკეული კუთხის თვისებას.

რსფს რესპუბლიკაში 90 წლისა და მეტი ასაკის 120 ათასი ადამიანია, უკრაინაში — 24 ათასზე მეტი, ბელორუსიაში — 3 ათასზე მეტი, საქართველოში — 10 ათასი, ისიც დადასტურებულია, რომ მრავალწლოვან ადამიანთა მეტი რაოდენობა ცხოვრობს მარტო არა იქ, სადაც საუკეთესო კლიმატია, არამედ იქ, სადაც ადამიანის საქმიანობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობებია, სადაც ცხოვრება ინტენსიურია.

148 წლის იყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინგის მცხოვრები ეაკ კიუტი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მებაღედ რომ მუშაობდა, მისი ძმა მამრისი 149 წლისა გარდაიცვალა.

140 წლს გადაამბიჯა სოხუმელმა დიასახლისმა ტ. კოჩებაშვილმა.

120 წლს გასცდა ყირიმის ომის მონაწილე ულეიმან არშბა.

104 წლის იყო ანტონ გუგუნავა სოფელ შერხეულის კოლმეურნეობაში რომ მუშაობდა და ნირს არ იტეხდა. აქვარის სოფელ ნაგუმარში ცხოვრობდა და შრომობდა 136 წლის ხასან ლომინაძე.

127 წლის არქიპო ხარებავა ვინ თხოვდა ან საქმეს, ან შრომას, მაგრამ იგი სოფლის ყოველი წამოწყების თაეკაცი იყო.

155 წელი იცხოვრა და იშრომა იაგორ ყოროევმა. როცა თბილისში XX საუკუნის დადგომა იზეიმეს იგი 100 წლის იყო.

წინათ თბილისის მცხოვრებლები ძ

. აუტანელი პირობების გამო სამუალოდ 60-70 წელიწადს ცოცხლობდნენ. ახლა დედაქალაქში მრავალწლოვან ადამიანთა საშუალო წლოვანებად 90-100 წელს მიაღწია.

147 წლის იყო აზერბაიჯანელი მახმუდ ეიგახოვი კოლმეურნეობაში 270 შრომადღე რომ გამოიმუშავა.

— რატომ დიდგვიანა ძძ გოგომ — გული მოუვიდა ერთხელ მახმუდს, როდესაც მან თავის უფროს ქალიშვილს თხოვა წყალი მომიტანეო. ეს „გოგო“ 120 წლის გახლდათ.

115 წლის ასაკში ი. ბოდრუნოვს 48 შვილიშვილი და შვილთაშვილი ჰყავდა, უფროსი შვილი 80 წლისა იყო, უმცროსი — 52-ს.

ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო არც თუ ძნელი ამოსაცნობია. ეს გახლავთ ნორმალური ცხოვრება, ვარჯიში, შრომა, შრომის წესიერი ორგანიზაცია. უსაქმოდ მყოფი მოხუცები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, აუცილებელი არ არის პენსიაზე გასულმა, ვთქვათ ხარატმა, სახლში სახარატო დაზგა გაიტანოთს, საჭიროა რამე სხვა საქმით (მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, სოჯახო საქმე) დაეტვირთოს თავი.

ალკოჰოლი და ნიკოტინი სიცოცხლის მტერია.

დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. პავლოვი თვლიდა, რომ ადამიანმა უნდა იცოცხლოს ორასაკლებ ასი წლისა და თუ ეს ასე არ არის, მიზეზი ის გახლავთ, რომ „თვითონ ჩვენი თავშეუკავებლობით, ჩვენი უწესრიგობით, ჩვენი სამაგალი მოპყრობით საკუთარი ორგანიზმისადმი დაგვყავს ეს ნორმალური ვადა გაცილებით ნაკლებ ციფრამდე“...

ალკოჰოლი, კი ნოკოტინი შხამია, იგი მოქმედებს თავის ტვინის ნერვულ უჯრედებზე, მოქმედებს ფსიქიკასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე; ღვიძლზე, თირკმლებზე...

ხანგრძლივი სიცოცხლისათვის აუცილებელია შრომა, ვარჯიში, სხეულის მოვლა, გაკაჟება.

თუ გვინდა დიდხანს ვიცოცხლოთ, უნდა გვიყვარდეს ფიზკულტურა, ვიცოდეთ შრომისა და დასვენების სწორად შეხამება, მეტი დრო უნდა გავატაროთ ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე.

ადამიანის სიცოცხლე მის ხელთაა და როგორ არ უნდა გაუფრთხილდეს მას, მითუმეტეს ახლა, ჩვენ ქვეყანაში, როცა მალე ადამიანი სხვა პლანეტაზე სასეირნოდ გადაინაცვლებს!

ხანგრძლივი სიცოცხლე — ხანგრძლივი ბედნიერებაა და კიდეც ამიტომ გასცდა სიცოცხლე საუკუნეს.

რ. ახვლედიანი.

ფეხით სიარული — სიჯანსაღის წყარო

ყურადღებით წავიკითხე გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული სტატეები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან საკითხს — ფეხით სიარულს ეხებოდა, და მეც ადმეძრა სურვილი ორიოდე სიტყვით მიმემართნა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

ფეხით სიარული — ჩვენთვის ყოველთვის სასურველი და სანუკვარი მოვლენაა. ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის წლებში, ზაფხულობით, როდესაც არდადეგებს დედის სოფელში ვატარებდი, ჩემს ძმებთან ერთად დილიოლან საღამომდე ფეხით დავდიოდით სოფელ ბერშუეთიდან მეჯვრისხევამდე. მათ შორის მანძილი 10 კილომეტრია და ამ გზას ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი გავივლიდით.

განვლო წლებმა, და დღესაც იშვიათად დამინახავს ვინმე რომელიმე ტრანსპორტში ჩამჯდარს, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც სადმე ძალიან მიმეჩქარება. ვინაიდან თითქმის მთელ ჩემს სამუშაო დღეს დახურულ შენობაში ვატარებ, თავისთავად ცხადია, გონებრივი გადატვირთულობის შემდეგ ფეხით გავლა, სუფთა ჰაერის სუნთქვა მხოლოდ სიამოვნების გრძნობას მგვრის, და სახლში რომ ვბრუნდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სრულიადაც არ დავლილვარ მთელი სამუშაო დღის განმავლობაში და ისეთივე ენერგიით შემიძლია განვაგრძო მუშაობა, როგორთაც დილით შემეძლო.

ბუნებისაგან ადამიანი ისეა შექმნილი, რომ მისთვის მოძრაობა აუცილებლობას წარმოადგენს. განსაკუთრებით საჭიროა ფეხით სიარული, ვინაიდან ადამიანი, რომელიც ნაკლებად დადის ფეხით, სწრაფად სუსტდება, სიმსუქნე კი ადამიანის ორგანიზმისათვის ზედმეტი ტვირთია და ჯანმრთელობის პირველი მტერია, იგი იწვევს გულის მუშაობის შესუსტებას და სისხლძარღვების მოდუნებას, მისი ქსოვილების გადაგვარებას.

აბა დაკვირდით, ვის ემარება უფრო ხშირად გულის ინფარქტი, სწორედ იმ პირებს, ვინც ნაკლებად მოძრაობს, მხოლოდ მანქანით მგზავრობს და ფიზიკურ შრომას არ ეწევა.

განსაკუთრებით ესაჭიროებათ ფეხით სიარული გონებრივი დარგის მუშაკებს, ვინაიდან მათ სამუშაო დღის უმეტეს ნაწილში დახურულ შენობაში უხდებათ ყოფნა და ნაკლებს მოძრაობენ.

ფეხით სიარული და სუფთა ჰაერზე ყოფნა აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, სისხლის მიმოქცევას, უმჯობესდება ჭამის მადა, ადამიანის გუნება-განწყობილება და სხვ.

იარეთ ფეხით! ამით თქვენ ორგვარ სიამოვნებას მიიღებთ: გაიხანგრძლივებთ სიცოცხლეს და დატკბებით ჩვენი შესანიშნავი გარემოს სილამაზით. ბევრი რამ, რაც თქვენთვის სხვადასხვა სახის ტრანსპორტით მგზავრობის დროს შეუმჩნეველი ხდება, — ფეხით სიარულის დროს სასიამოვნოდ და კეკლუცად მოგეჩვენებათ.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი
ი. ჟორდანია.

ეს **სურათი** ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა **ვლ. გინზბურგმა** გასულ კვირას გადაღლო თბილისში, ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში. აქ ყოველდღიურად ასობით თბილისელი გამოდის დილით ადრე და გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ბუნების წიაღში სირბილით თუ სპირნოთით იკაჟებს თავის ორგანიზმს. სურათზე თქვენ ხედავთ ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში ვარჯიშის ერთ-ერთ მოგონებას.

„აქ მკვდარიც გაცოცხლდება“

საქართველოში ტურიზმის სეზონია. ათეულ ათასობით საბჭოთა მშრომელი მოდის სტუმრად მზიურ საქართველოში, რათა აქ გაატაროს დასვენების დღეები, დატკბეს მთების და მდიდარი ბუნების სილამაზით.

აბა რა უნდა იყოს იმაზე წარმტაცი, როდესაც დგახარ ახუნის მთაზე და გადაჰყურებ ფშავ-ხევსურეთის თუ თიანეთისა და ახმეტის მთებს.

ხარბად ისუნთქავ მსუბუქ და ჯანსაღ ჰაერს და ისეთი გრძნობა გიპყრობს, თითქოს ცაშიც კი ფრენა გაფრინდე, აგერ წამოწოლილხარ ხავერდივით რბილ მდელოზე ველურ ვარდებსა და ზამბახებს შორის და შენს წინ ყველგან კავკასიონის ყინულოვანი მთებია, ქვემოთ კი მოჩქეფს ჩანჩქერები, მთებიდან მონაბერი ცივი ნიავი სახეზე გეამბორება. ამაზე ამბობს ხალხი „აქ მკვდარიც გაცოცხლდებაო“.

აგერ ტურისტთა ერთმა ჯგუფმა გაჭიმა კარვები. შენ კი ცივ წყაროს ეწაფები. ჩემი აზრით ასე გატარებული ერთი დღე ერთი წლის სიცოცხლეს მოუმატებს ადამიანს.

გამოვიყენოთ, მეგობრებო, ბუნების ეს დაუშრეტელი წყარო ჩვენი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, შევუწყოთ ხელი ჩვენში ტურიზმის განვითარებას, შევისწავლოთ ჩვენი მშობლიური მხარე, ეფაროთ ფეხით სუფთა ჰაერზე.

ლ. არჩუაშვილი,
ფასანაურის ტურბაზის ინსტრუქტორი.

სწორად შევახამოთ შრომა და დასვენება

ეველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ვარჯიშს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მისი ყველაზე მარტივი სახეა ფეხით სიარული. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და საჭმლის მონელების პროცესების გაუმჯობესებისათვის, არამედ თვალის ჯანმრთელობისთვისაც.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ!

რა გავლენას ახდენს ფიზკულტურული ვარჯიში ადამიანის მხედველობაზე?

ჯანმრთელი ადამიანი შედარებით იშვიათად ავადდება თვალის დაავადებით და თუ დაავადდა უფრო იოლად გადაჰყავს იგი. თვალის ექიმებისათვის ცნობილია, თუ რა რთულია ისეთი ადამიანის თვალის ოპერაცია, რომელიც მოდუნებულია და ზომაზე მეტად მსუქანი.

გარდა ამისა, არსებობს თვალის ზოგიერთი დაავადება, მაგალითად გლაუკომა, რომლის მიმდინარეობაზეც დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, კერძოდ, საჭმლის მომნელებელი ორგანოების არაწესიერი მუშაობა. ეს დაავადება თავიდან რომ ავიცილოთ, გარდა საკვების შერჩევისა, აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში. გლაუკომით უფრო ხშირად ავად ხდებიან ხანში შესული ადამიანები. ცხადია, მათ ვერ ვუურჩევთ ფიზიკური ვარჯიშის რთულ და ძნელად შესასრულებელ სახეებს, ასეთ პირთათვის ფიზიკური ვარჯიშის ყველაზე იოლი სახეა ფეხით სიარული.

არსებობს თვალის არანორმალური მდგომარეობა — ახლომხედველობა, რაც ბავშვებს სკოლამდელ ასაკში უვითარდებათ. გარდა შესაბამისი სათვალის დანიშვნისა, საჭიროა ყურადღება მივქცეს ასეთი ბავშვების დღის რეჟიმის სწორად განაწილებას და ფიზიკური ვარჯიშის სახეების შერჩევას. ბაკშვს, რომელსაც მაღალი ხარისხის ახლომხედველობა აქვს, უნდა აეკრძალოს ფიზიკური ვარჯიშის ისეთი სახეები, როგორიც არის სიმძიმეების აწევა, სიმაღლეზე ხტომა სხვადასხვა სახის იარაღებზე ვარჯიში. მან უნდა მიმართოს მსუბუქ ტანვარჯიშს. ასეთი ბავშვებისათვის ყველაზე კარგია ფეხით გასეირნება. ფეხით სიარული, გარდა იმისა, რომ აჯანსაღებს ბავშვის ორგანიზმს, დიდ სიხარულს ჰგვრის მას, აცნობს ღორსშესანიშნავ ადგილებს.

სპეციალისტები გვირჩევენ როგორი სახის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა ვატაროთ ფეხით სიარულის დროს. ჩვენი ქვეყანა მზის ქვეყანაა, განსაკუთრებით ზაფხულის და ზამთრის თვეებში ჰაერი სავსეა ულტრაიისფერი სხივებით. თვალზე ამ სხივების ხანგრძლივმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უსიამოვნო შეგრძნებანი: თვალების შეწითლება, შესივება, რქოვანი გარსის დაზიანება. ასეთი მდგომარეობა შეიძლება ერთ-ორ დღეს გაგრძელდეს. ულტრაიისფერი სხივების მოქმედების თავიდან აცილება შეიძლება მუქი ფერის სათვალის საშუალებით, რომელიც თან უნდა გვქონდეს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში ქალაქგარეთ გასეირნების დროს.

ა. ჩაგელიშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.